ღ[illegible]ნაჲი მესამე ფასი 10 კაპ. საშაბათი, 1917 წ. მკათათვის 10 (22)

# საქართველო

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, ред. газ. „Сакартвело", поч. ящикъ № 76
ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—[illegible] კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი.
თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 149 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 149

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

კოჯრის გზაზე ა. ჩხენკელს თავს დაეცნენ ყაჩაღები.

ტარნოპოლთან გერმანელებმა რუსეთის ფრონტი გაარღვიეს. გერმანელები ტარნოპოლის დასავლეთით მძლავრად უტევენ რუსებს რუსის ჯარი უფროსებს არ ემორჩილება და თავის ნებით უკან იხევს. გზა და გზა მიტინგებსა ჰმართავს. მტერს მხოლოდ მე-115-ე ქვეითა დივიზია უმკლავდება. გერმანელებმა რამდენიმე სოფელი აიღეს.

გერმანელები აგრედვე დიდ შეტევას აწარმოებენ საფრანგეთ-ინგლისის ფრონტზე.

თავ. ლვოვი, შინგარიოვი, ნეკრასოვი, შახოვსკოი და პერევერზევი მინისტრობიდან გადადგნენ.

კერენსკი მინისტრთა თავმჯდომარედ დაინიშნა. მის მოადგილეობას ნეკრასოვი გასწევს ხოლმე.

რეიხსტაგმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ზავს და საარჩევნო რეფორმებს მოითხოვს. რეზოლიუციის მომხრე იყო 214, წინააღმდეგი 116 ხმა.

ბოლშევიკების მეთაურნი ლენინი და ზინოვიოვი დროებით მთავრობასდაჰნებდნენ. კერენსკი აცხადებს, რომ პეტროგრადის ამბები გერმანელთა აგენტების მიერ იყო მოწყობილიო. გერმანელთა აგენტების მონაწილეობა ამ საქმეში.

### წ ე რ ი ლ ე ბ ი

გრიგოლ ვეშაპელი. კავკასიელ ერთა კრება.

შ, ამირეჯიბი. შედეგი ივლისის რევოლიუციისა.

მ. ად—ლი. გერმანელების შემოტევა.

გძელი. რა სჭირია საქართველოს ეკლესიას.

„სოც.-რევოლიუციონერების დახასიათება".

ქუთაისში მკათათვის 8 ს, მოულოდნელად გარდაიცვალა

**მიხეილ ნიკოლოზის ძე**
**ქუთათელაძე**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე და შვილები.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დასაფლავება მკათათვის 12 ს, ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე.

ღრმად დამწუხრებული თავადი ივანე სიკოს ძე, ერისთავი, აუწყებს ნათესავთ და მეგობრებთ, რომ მკათათვის 11-ს სამშაბათს დილის თორმეტ საათზედ დ. ჩოხატაურში წმინდი გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის მეუღლის

**დესპინე წულუკიძის ასულის კნეინა**
**ერისთავის**

სულის მოსახსენებლად.

2—701—2

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის**
**X და XII უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

10—742—7

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის**
**მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. უიფიანთან.

751

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის**
**პირველი უბნის კომიტეტი**

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12. ქართულ სადგილ-მამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმგეობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გარდასახადის და შეწირულობის შემოსატანად.

10—755—5

## კავკასიელ ერთა კრება

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარმა კომიტეტმა ქართველ, სომეხ, მაჰმადიანთა პოლიტიკურ პარტიებს მოწოდებით მიმართა და აცნობა, რომ მას დაუდგენია—„მოწვევა ერთსა და იმავე დროს პარალელურად ქართველების, სომხების და მაჰმადიანების საერთო კრებისა და დამყარება მათ შორის შეთანხმების საერთო პოლიტიკურ პლატფორმის ნიადაგზე, რისთვისაც სამთავე საერო კრებამ უნდა იქონიოს მოლაპარაკება ერთმანეთთან დელეგაციების საშუალებითო". სოციალისტ-ფედერალისტთა მთავარ კომიტეტს უკვე დაუვალებია თავის პრეზიდიუმისათვის შეუდგეს სამზადისს ზემოხსენებულ საერო კრებათა მოწვევისათვის, გამართოს სათანადო მოლაპარაკება და შეადგინოს საგანგებო ბიურო ყველა პოლიტიკურ პარტიების და ნაციონალ ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

მომენტი რომ კავკასიელ ერთა პოლიტიკურ მოლაპარაკებას და შეთანხმებას ითხოვს, ეს ცხადია და სოც.-ფედერალისტთა პარტიის თაოსნობა მადლობის ღირსიც არის, მაგრამ არის რაოდენიმე გარემოება, რომელიც მეტი ანგარიშის ღირსია, ვიდრე ეს სოციალისტ-ფედერალისტთა მემორანდუმში სჩანს.

ერთი ის, რომ ყოველს ინტერპარტიულის და ინტერნაციონალურ კრების ოფიციალ დანიშვნას და გაზეთებით საქვეყნოდ გამოცხადებას დაინტერესებულ მხარეთა არაოფიციალური მოლაპარაკებანი უნდა უძღოდეს წინ, თორემ თუ ნიადაგი კარგად არ არის გაშინჯული, ზოგიერთ პარტიის ან მთელი ერის სამართლიან ან უმართლო უარის თქმას საქმის გართულება და გაფუჭებაც შეუძლია.

მეორე ის არის, რომ ამიერ-კავკასიის ერთა კრებაზე სოციალისტ-ფედერალისტები ქართველ-სომეხთა გარდა მაჰმადიანებს იწვევენ; ჩვენის აზრით თბილისის საერთაშორისო კონფერენციაზე საერთოდ მაჰმადიანებს კი არ უნდა იწვევდნენ, არამედ ჩვენი მეზობელ ადერბეიჯანის თურქ-თათრებს. მაგრამ მარტო ამიერ-კავკასიის მაჰმადიანი თურქ-თათარნი არ კმარან, ჩრდილო კავკასიელნი მაჰმადიანებიც უნდა მოვიწვიოთ, ჩერქეზ ჩაჩან-ყაბარდოელ-ლეკები, მთიულეთის კავშირის სახით. მართალია ჩაჩნეთი და ყაბარდო ადმინისტრატიულად ამიერ-კავკასიის გარედაა, მაგრამ სხვას რომ თავი დავანებოთ, საქართველოს მთიელთა, განსაკუთრებით ოსთა, კითხვა აუცილებლად ჰყოფს ჩრდილო-კავკასიის კავშირის დაძახებას, დაღესტანი კი ხომ ისედაც ამიერ-კავკასიაში ითვლება...

მესამე ის არის, რომ სანამ თბილისში კავკასიის საერთაშორისო კონფერენციები გაიმართებოდეს და ქართველ-სომეხ-თათარ-მთიელთა დელეგატიები ერთი კრებიდან მეორე კრებაზედ სიარულს დაიწყებდნენ, მანამ ქართველი ერის პოლიტიკაც ისევე უნდა გამთელდეს, როგორც გამთელებულია ჩვენი მეზობლების ეროვნული პოლიტიკა. ჩრდილო-კავკასიის მთიულეთის და ადერბეიჯანის თურქ-თათართა ეროვნული თვითგამორკვევა უკვე ფაქტია, კავკავისა და ბაქოს ყრილობებმა მათი ნებისყოფის აღმასრულებელი ორგანოებიც კი შექმნა; სომეხთა ეროვნული ყრილობები რევოლუციამდის რამდენჯერმე მოხდა, ახალი სომხური ყრილობა კიდევ ამ დღეებში არის დანიშნული თბილისში, ყოველს შემთხვევაში სომეხთა პარტიები შეთანხმებული არიან და ეროვნული საბჭოცა ჰყავთ.

საქართველოს მდგომარეობა სხვანაირია: მართალია რევოლუციის დაწყებისას საპარტიათაშორისო თათბირი იყო, მაგრამ რადგან არც სოციალ-დემოკრატებს, არც სოციალისტ-ფედერალისტებს და არც ნაციონალ-დემოკრატებს იმ ჟამად პარტიული ყრილობისგან დადასტურებული პროექტი საქართველოს ეროვნულ-თვითმართველობისა („ავტონომიისა") და მისი ტერიტორიისა არ ჰქონდათ, ამიტომ თათბირმა აღიარა მხოლოდ პრინციპიალი შეთანხმების თეზისი და შემდეგ შესწყვიტა თავისი მოქმედება, რათა პარტიული კონფერენციების დასრულებისას კვლავ განეახლებია თავისი მუშაობა საერთო ეროვნულ პოლიტიკურ პლატფორმისა და ეროვნულ საბჭოს შესადგენად.

პარტიული კონფერენციები დასრულდა და სწორედ ისე, როგორც ამას ელოდნენ შეთანხმების მოიმედენი, ამიტომ საპარტიათაშორისო თათბირის მუშაობა უნდა გაგრძელებულიყო. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიამ უკვე აღძრა ეს საკითხი, დადებითი პასუხი[illegible] მიიღო და თათბირიც მოკლე ხ[illegible]გრძელდება.

[illegible] ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ განახლებული თათბირი მოგვცემს საერთო ეროვნულ-პოლიტიკურ პლატფორმას, მოაწყობს ეროვნულ საბჭოს და მოიწვევს ქართულ ეროვნულ ყრილობას. სანამ ქართველი ერის თვითგამორკვევას ეს ბუნებრივი შინაგანი საფეხურები არ გაუვლია, მანამდის დიდის მასშტაბით საგარეო პოლიტიკის წარმოება, თბილისში კავკასიის საერთაშორისო კონფერენციების გამართვა და ამისთვის ქართული თაოსნობისა და ძალის დახარჯვა არ არის მიზანშეწონილი.

ჯერ საქართველოს ეროვნული ყრილობა და მერე საერთაშორისო კონფერენციები!

**გრ. ვეშაპელი.**

## შედეგი მკათათვის რევოლუციისა

პეტროგრადის კრიზისი თავდება. არ შეიძლება ითქვას, რომ კრიზისმა მთლად გაიარა, მაგრამ თუ გამოვალთ იმ დებულებიდან, რომ კრიზისი კადეტების დროებით მთავრობიდან გადადგომით დაიწყო, ესე იგი, რომ კრიზისს უმთავრესად დროებით მთავრობის დაშლა ახასიათებდა, ეხლა, როდესაც დროებით მთავრობამ ახალი უფლებრივი კონსტრუქცია და შემადგენლობა მიიღო, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ კრიზისი თან და თან მიდის და რევოლუციამ კვლავ გაიმარჯვა კონტრ-რევოლუციაზე.

დიდი ცვლილებანი რომელიც მოხდა მთავრობის შემადგენლობაში, რევოლუციის ახალ კურსს მოასწავებს. წავიდა მინისტრი-თავმჯდომარე თავადი ლვოვი. იქნება ეს ფაქტი ყველაზედ უფრო ღირს შესანიშნავი ფაქტია იმ ამბებში, რომელიც მოხდა პეტროგრადში და იმ ცვლილებებში რომელიც ახასიათებ დროებითი მთავრობის ეხლანდელ შემადგენლობას. მის წასვლამ ახალი მორიგი საკითხი დაბადა—რუსეთი უნდა ეხლავე დემოკრატიულ რესპუბლიკათ გამოცხადდეს. ამ რიგად უდიდესი საკითხთაგანი რუსეთის რევოლუციისა, სახელდობრ, საკითხი მის მომავალ სახელმწიფო წეს-წყობილებისა, რომელიც აქამდე დამფუძნებელ კრებამდე იყო გადადებული—ეხლა გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. ამით რუსეთის რევოლუცია სწყვეტს არა მარტო დიდ საკითხს, არამედ ასწორებს იმ დიდ შეცდომებსაც, რომელიც თავიდანვე დაჰყვა მას. დღევანდლამდე რუსეთში ფიქრობდნენ, რომ საკითხი მომავალ წესწყობილებისა მხოლოდ დამფუძნებელ კრების სუვერენულ უფლებას შეადგენს. აქედან გამომდინარეობდა ერთი უცნაური ლასკვნა: თუ დამფუძნებელი კრება მოისურვებდა მონარხიის აღდგენას, რუსეთი უნდა დათანხმებულიყო ამას. გამოდიოდა, რომ თვით რევოლუცია კი არ არის მთავარი ფაქტორი ეპოხისა, არამედ დამფუძნებელი კრება. აი, ასეთ ულოღიკობას რუსეთში არავინ არ ებრძოდა, არ ებრძოდნენ თვით სოციალისტებიც, რადგანაც ისინიც იმ აზრს იზიარებდნენ, რომ საკითხი მომავალ წყობილებისა დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა და ივლისის რევოლიუციასაც სწორედ იმიტომ აქვს ასეთი დიდი, მნიშვნელობა რომ მან მოსპო ეს ულოღიკობა. პასუხისმგებელი რევოლიუციონური დემოკრატია სრულებით არ უწევდა ანგარიშს იმას, რომ რევოლიუცია მოხდა არა იმიტომ, რომ თავი მოიყაროს დამფუძნებელმა კრებამ, რომლის შემადგენლობა შესაძლებელია ისეთი იყოს, რომელიც მართლა მოისურვებს სრულ რესტავრაციას, არამედ მიტომ, რომ საჭირო იყო სწორედ ამ წესწყობილების შეცვლა. იქ, სადაც აჯანყებული ხალხი მეფეს ტახტიდან აგდებს და სათავეში იმავ დროს რეგენტს არ აყენებს —ფორმა სახელმწ.-წესწყობილებისა წინდაწინვე ნაანგარიშევია—ეს გახლავთ დემოკრატიული რესპუბლიკა. ამას არ უწევდნენ ანგარიშს და იმ დროს როცა ყველა ხალხის სუვერენულ უფლებაზე ლაპარაკობდა და მის გამომხატველ დაწესებულების მოსვლას უცდიდა, არავინ არ ფიქრობდა თვით რევოლიუციის სუვერენულ უფლებაზე მის ლოღიკაზე.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი მომხდარ ამბებისა ძალა-უფლების სოციალისტების ხელში გადასვლაა. იქნება ეს გარეგნულად ესე არიყოს, რადგანაც ეხლანდელ დროებით მთავრობაში პორტფელიანი სოციალისტ-მინისტრები უფრო ნაკლებ რიცხოვანი არიან ვიდრე კოალიციონურ სამინისტროში, მაგრამ გარეგნობას აქ მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ეხლა ყველამ ვიცით, რომ მინისტრმა ირაკლი წერეთელმა „კარტ-ბლანში" მიიღო მოქმედებისა. შეერთებულმა სხდომამ მ. და ჯ.-კ. დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტებმა პირდაპირ დაავალეს სოციალისტ-მინისტრებს, სხვა მინისტრებთან ერთად ისე იმოქმედონ, და ისე შეავსონ დროებით მთავრობა, როგორც ეს წერეთლის განზრახვებს შეეფერებიან.

აი, ორი ფაქტი, უმეტესად მნიშვნელოვანი, როგორც შედეგი ივლისის რევოლიუციისა. იქნება სულ ახალი კონიუნქტურა და ახალი გზი, რომლითაც უნდა იაროს რევოლიუციამ.

**შ. ამირეჯიბი.**

## გერმანელების შემოტევა

სარევოლუციო ჯარის შეტევის გამო ერთი კვირის წინად ვწერდით, რომ ეს ჯარი „ლამობს ლვოვის მოვლას სამხრეთიდან, სადაც მან საკმაოდ ღრმად წაიწია, მაგრამ სიგანით მან ვერ გააფართოვა შეტევა, ვერ ჩაითრია ბრძოლაში თვისი მარცხენა და მარჯვენა ფრთებს. ამიტომ ჯერჯეორიბით მაინც, ამ შეტევას არ მოსდევს სტრატეგიული შედეგი. მოპირდაპირის ჯარი — ვწერდით იმავე წერილში—„თავს იყრის კოველ-ტარნოპოლის მიდამოებში. ალბათ აქედან უპირობს იგი შემოტევას და წინა მავალის შეჩერებას. შარშანაც ბრუსილოვის მედგარ შეტევას მოპირდაპირემ კოველიდან შემოტევით გასცა პასუხი და ლვოვისკენ მიმავალი რუსის ჯარი აქედან შეაჩერა.

ეს აზრი გამართლდა. გადაიკითხეთ დღევანდელი დეპეშები, შიშითა და უიმედობით აღსავსე. მთავარი შტაბი აღარაფერს მალავს. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ რუსის ჯარი რიცხვითაც და შეიარაღებითაც გაცილებით სჭარბობს მოპირდაპირეს, მაგრამ იგი მაინც მორბის. ავსტრო-გერმანელთა ჯარმა ტარნოპოლის მიმართულებ თ შემოუტია რუსის მხედრობას და ფართედ გამოარღვია ბრძოლის პირი. მოპირდაპირე ჩრდილოეთიდან უვლის გალიციასა და რუმინეთში დაბანაკებულ ჯარს, რომელსაც მეტად დიდი ხიფათი მოელის. ბრძოლის პირი აქაც გარღვეულია—მდინარე ლომნიცაზე. ამავე დროს მოპირდაპირემ ბრძოლა გაახურა ცენტრში—ბარანოვიჩთან—და ჩრდილოეთით—დვინსკის მიმართულებით, სადაც მდგომარეობა ჯერჯერობით გამოურკვეველია.

დასამალი აღარაფერია. დროა თავი დავანებოთ ნართაულ სიტყვებს და გაბედულად ვაღვიაროთ, რომ რუსეთის ჯარს ბრძოლის უნარი და ძალა აღარ აქვს.

ჩვენ რა გვაქვს დასამალი ან მოსარიდებელი, როცა დროებითი მთავრობა და მთავარი შტაბი აღარაფერს მალავენ და აღარაფერს ერიდებიან. გვატყობინებენ: შესატევად მიმავალი ჯარი დაბა-ქალაქებს ესევა, სძარცვავს, იკლებს, სწვავს და ხოცავს. ამავე დროს მეორე ნაწილი ჯარისა ფეხს არ იცვლის და თავის ნებით უკან იწევს, მტერს კარებს უღებს. ერთი სიტყვით, დაკარგულია და მოსპობილი ყოველივე დისციპლინა, ძალა და მთლიანობა. ნაცვლად სარევოლუციო წესისა, ნებისყოფისა, აღტაცებისა და აღფრთოვანებისა რუსის ჯარში დატრიალებულა უსაშინელესი ანარქია და მისი მიმდევარი ლოზუნგი—ვისაც შეუძლიან, თავს უშველოს!"—ეს არის შედეგი და სარკე რუსეთის შინაურ ვითარებისა. ყოვლად შეუძლებელია ბრძოლა მარცხნივ და მარჯვნივ, წინ და უკან.

ერთ-ორ კვირაში უნდა გამოირკვეს რუსეთისა და მისი ჯარის ბედი.

**ა. ად—ლი.**

## ომი და ზავი

### დ ე პ ე შ ე ბ ი

**რუმინეთის ფრონტი.** მდ. რიმნიკის შესართავთან, საარტილერიო სამზადისის შემდეგ, მტრის ქვეითებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ რუმინელთა კონტრ-იერიშით გავაბრუნეთ. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

**მთავარ ბანაკის ცნობა.**

**კავკასიის ფრონტი.** უცვლელადაა.

**მფრინავთა მოქმედება.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 7. კარპატებში თოფის სროლაა გერმანელების მფრინავი ჩამოვაგდეთ. ზედ მყოფნი ტყვედ წამოვიყვანეთ.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა**

**პარიზი.** მკათათვის 7. ოფიციალი. იურტებიზის რაიონში გაცხარებული საარტილერიო მოქმედებაა. მძლავრ საარტილერიო ცეცხლის შემდეგ მტერი შეეცადა გაერთიანებულ იერიშით იპრისა და ვოკლერის ჩვენი ზეგანების დაჭერას. მთელ ფრონტზე ხელჩართული ბრძოლაა. მიუხედავად დიდი ზარალისა, მტერმა კალიფორნიისა და კაზიმეტის ზეგანზე ფეხი ვერ მოიმაგრა, ჩვენი ასპარეზი გერმანელების გვამებითაა მოფენილი. გერმანელები კალიფორნიის და კაზემატის ზეგანის შუა დაჭერილ ადგილების გაფართოებას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ. შამპანში ნოვარენის ფერმისა და სენტ-ილერ-სენ-სურლეს გზის შუა ჩვენ პატარა საყარაულოებზე იერიში მოიტანა, მაგრამ მოვიგერიეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე „304" სიმაღლის ორივე მხარეს საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიზი.** მკათათვის 7. საღამოს ოფიციალი. სენკანტენის სამხრეთ-აღ-

მოსავლეთით ორსავე მხარე არტილერიას ამოქმედებს. მულენ-სუ-ტუვანის რაიონში ჩვენ რამდენიმე თხრილი დავიჭირეთ. მდ. ენის ჩრდილოეთით არტილერია მოქმედობს. შამპანში საარტილერიო სროლაა. დანარჩენი ფრონტი უცვლელადაა.

**მფრინავთა მოქმედება.** ბიურნში რამდენიმე ყუმბარა ჩამოყარეს. ერთ ჩვენ მფრინავთაგანმა დიქსმიუდე ბუმელეს შუა მტრის ჰაეროპლანი დააზიანა.

**პარიზი.** მკათათვის 8. დღის ოფიციალი. წუხელ მდ. ენის ფრონტზე მთელი ღამე ბრძოლა სწარმოებდა. ბრეან-ლანნუასა, სერნის, იურტებიზის და კრაინის რაიონებში ჩვენს ზოგიერთა ალაგებს მტერი ყუმბარებს უშენდა. შემოტევა ვერსად გაბედა. ბრეან-ლანნუას ჩრდილოეთით მტერი დაჭერილ თხრილებიდან განვდევნეთ. სერნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერი ორჯელ წამოვიდა 250 მეტრის მანძილზე წინ, ალაგ ალაგ თხრილებსაც მოაღწია მაგრამ ორჯელვე მოვიგერიეთ. აილის სამხრეთით ჩვენმა ყუმბარების მტყორცნელმა გერმანელების იერიში მარჯვედ მოიგერიეს. იურტებისა და კალიფორნიის ზეგანის შუა გერმანელებს დიდი ზარალი მივაყენეთ. შამპანში, შევალეს ტყის მახლობლად საარტილერიო ბრძოლამ წუხელის უფრო გაცხარებული ხასიათი მიიღო. დანარჩენ ფრონტზე შედარებით სიწყნარე იყო.

**პარიზი.** მკათათვის 9. დღის ოფიციალი ცნობა. უაზის სამხრეთით არტილერია გაცხარებული ჰმოქმედობს. სენ-ჟერმენის სასაფლაოსთან მტერი ერთ ჩვენს პატარა რაზმს მიესია, მაგრამ ვერას გახდა. მდ. ენის ფრონტზე მტერი გაცხარებით ესროდა ჩვენს პოზიციებს შევრნეილიდან კარბენის სამხრეთამდის. მძიმე არტილერიამ სროლა გათენებისას უაღრესად განაცხოველა. იურტებიზასა და კრონის შუა. გათენებისას გერმანელებმა ამ ფრონტზე ახალ ძალებით ძლიერი იერიშები დაიწყეს, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ გაჰფანტა და უკან დააბრუნა ისე, რომ მტერმა ჩვენამდისაც ვერ მოაღწია. მძიმე ზარბაზნების ჩვენმა ბატარეიამ კილმატის კუთხეში დიდი ზარალი მიაყენა. ამავე დროს ჩვენმა ჯარმა მშვენივრად მოიგერა მტრის იერიშები კაზემატის ზეგანზე და კალვფარნაიაზე. ამ ადგილას საარტილერიო სროლა გაორკეცებულა. მდ. მაასის ორსავ მხარეზე მტერმა ღამე დიდი მოქმედება გამოიჩინა. არტილერიის გაცხოველებული ბრძოლაა ავაკურ-ბეზევოს რაიონში და სენ-მიელის სექტორში. ავაკურის რაიონში გერმანელებმა ორგან მოიტანეს იერიში. დიდი ბრძოლის შემდეგ, მტერმა დიდი მსხვერპლი ჰნახა და უკან დაიხია, ყველგან, სადაც კი ფეხი მოიმაგრა. მაასის მაღლობებზე ბუშეს და ზევალიეს ტყეების მახლობლად მტერმა ორჯერ უნაყოფოდ სცადა ჩვენს თხრილებს მოახლოვებოდა. აქ ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ. ზეპო ცლზასში მტრის იერიშების დროს რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ. მათში დაჭრილებიც არიან.

ინგლისის ბანაკის ცნობა.

**ლონდონი.** მკათათვის 7. ოფიციალი. სამხედრო მინისტრის ცნობით, აფრიკაში კილვისა და რინგის სამხრეთ-აღმოსავლეთით რაიონებში გამარჯვება ბრიტანელ რაზმებსა რჩებათ. მათ მდინარე იპას მიყოლებით მტერს გამაგრებული ასპარეზი დაატოვებინეს. პორტუგალიის კიასალენდაში ბრიტანელებმა მვემბედან გერმანელები გასდევნეს. მვემბე გერმანელებს თიბათვის 27-დან ეჭირათ. ბრიტანელებს ბრძოლაში პორტუგალელთა რაზმიც ეხმარებოდა. ჩრდილო-აღმოსავლეთით მტოლველ მტერს გამარჯვებულნი 30 მილზე მიჰყვნენ. ჩრდილოეთით ბელგიელები იკომისკენ მიისწრაფიან, ამჟამად ისინი ნატრონის ტბის დასავლეთით იმყოფებიან.

**ლონდონი.** მკათათვის 7. ოფიციალი. წუხელ იპრის ჩრდილოეთით, გაგრელის პირდაპირ მტერს მოულოდნელად თავს დავესხით და რამდენიმე ტყვეც წამოვიყვანეთ. სენ-კანტენის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ლანსის ჩრდილო-დასავლეთით მტერი გაცხარებულ არტილერიას ამოქმედებდა.

**ლონდონი.** მკათათვის 7. ოფიციალი. დილას ლომბარძიუდეს სამხრეთით მტერმა ხელმეორედ შემოგვიტია. ზოგზოგ ალაგას გერმანელებმა ჩვენი თხრილები დაიჭირეს, მაგრამ მალე კონტრ-იერიშით გავდევნეთ. წუხელ შერიზეს დასავლეთით გერმანელები თავს დაგვესხნენ. მოვიგერიეთ. თხრილები არსად არ დაუჭერიათ.

**პარიზი.** მკათათვის 6. ოფიციალი. ბრიტანელ ჰაეროპლანებმა მტრის საბრძოლველ მასალათა საწყობებს ყუმბარებით ცეცხლი გაუჩინეს. ვარდარის უბანში მოწინავე რაზმების შეტაკება მონასტირის რაიონში მტერი არტილერიას ამოქმედებს.

**ლონდონი.** მკათათვის 8. ოფიციალი. გუშინ ანჟიკურის სამხრეთ აღმოსავლეთით მტერმა ჩვენს თხრილებზე თავდასხმა სცადა, მაგრამ მოვიგერიეთ. არტილერია ორთავე მხრიდან ჩვეულებრივ მოქმედობს.

**ლონდონი** მკათათვის 8. ოფიციალი. გრინველდის გორაკზე ჩვენ მტრის თხრილებს მივაწიეთ. მტერმა თხრილები დასტოვა. ლოოსას სამხრეთ-დასავლეთით და ამანტერას სამხრეთით მტერს ზარალი მივაყენეთ. დავანგრიეთ მთელი რიგი საფარებისა და მტერს თავზარ დავეცით.

**ლონდონი.** მკათათვის 8. საღამოს ოფიციალი ცნობა ინგლისის ბანაკისა საფრანგეთში. მკათათვის 8-ს გერმანელთა არტილერია ლომბარძიუზეს მიდამოებში ჰმოქმედობდა.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენმა მფრინავებმა მარჯვედ დაუშინეს ყუმბარა გერმანელთა ოთხ ჰაეროდრომს და რკინის გზის მნიშვნელოვან კვანძ. აქ დიდი აფეთქება მოხდა. საღამოთი ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლაში იმონაწილევეს. მტრის 3 აპარატი ჩამოაგდეს, 6-ც იძულებულ ჰყვეს ძირს დაშვებულიყვნენ. ჩვენ 4 აპარატი გვაკლია.

**ჰაგი.** მკათათვის 7. ბელგეთის ოფიციალი. ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა სტეენსტრეტეს რაიონში მეტად გაცხოველდა,

**რომი.** მკათათვის 7. ოფიციალი. მალგაველ-კადოში, მთის რუ მაზოსთან მტრის ძლიერი პატრული მოვიგერიეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ. კოლბრიკონეში ჩვენმა არტილერიამ იტრის ერთ გამაგრებულ ადგილს ცეცხლი გაუჩინა. მონტე პიანოზე ჩვენმა არტილერიამ მტრის სიმაგრეები დაანგრია. მანვე გაჰფანტა მტრის მუშები, რომლებიც რედუტებს ამაგრებდა და სროლა აუტეხა სანტა-ლუჩიას გზებს. მტრის არტილერია ნაკლებ ჰმოქმედობს, მან მცირე სროლა აუტეხა ჩვენს პოზიციებს პაოცოს აუზთა, ფოდიჩეზე სოფაიტამეის და ვერშაკოს დასავლეთით.

ახლო აღმოსავლეთი.

**ხოლუნი.** მკათათვის 8. მონასტირის ჩრდილოეთით გაცხოველებული ბრძოლაა. ცრნის ღელეში ფრანგთა არტილერიამ მტრის ტრანსპორტი დააზიანა, ინგლისელმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს დემირპისარის ასპარეზზედ. სუბოკსთან და მონასტირში მტრის ორი ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

**ოდესა.** მკათათვის 7. სარწმუნო წყაროების ცნობით, რუმინეთის ფრონტზე მტერი სადგურ მეირეშტის ყუმბარას უშენდა. სადგურისათვის 100 ყუმბარაზე მეტი უსროლნიათ. ცნობაა რომ ყუმბარებს სად. ივანეშტისაც უშენდნენ.

რუსების დესანტი.

**სევასტოპოლი.** მკათათვის 7. ჩვენმა ხომალდებმა დუნაიში ჯარი გადასხა. ჯარმა ბულგარელების მიერ დაჭერილ რუმინელთა სოფელი იერიშით აიღო, დახოცა მრავალი, ტყვეც ჩაიგდო. ჯარი დიდის ალაფით და მშვიდობიანად დაბრუნდა.

მოწოდება ფრონტიდან

**პეტროგრადი.** მკათათვის 8. ამ სამი კვრის წინად, სამხედრო მინისტრის ბრძანების მიხედვით სამხრეთ დასავლეთის ფრონტის ლაშქარი შეტევაზე გადავიდა. 36,000 ტყვე, 90 მძიმე ზარბაზანი და 400-ზე მეტი ტყვიის-მფრქვეველი იგდო ხელთ ძლევამოსილ ლაშქარმა. „თიბითვის 18" პოლკებისათვის წმიდა იყო სახელი სამშობლოსი და რევოლუციისა. ისინი სიცოცხლე არ ზოგავდნენ ვილჰელმის მომხრეთა წინააღმდეგ. დაე, მოსისხლე მტრის განზრახვამ, რომ ერთადიმავე დროს მკერდშიც და ზურგშიც ჩაგვცეს მახვილი, რისთვისაც „თავისუფალი სამშობლო" მარტო ცარიელი სიტყვები არ არის, უფრო გააფთრებულ ბრძოლისთვის გაამხნევოს. წინ! რევოლუციონერო ჯარო! ყურს ნუ უგდებთ მშიშარა სამშობლოს მოღალატეებს. იხსენით თავისუფლება, იხსენით სამშობლო! დროებითი მთავრობა.

მოგვიშველენით.

**მოქმედი ლაშქარი.** მკათათვის 6. მე-12-ე კორპუსის რწმუნებულები მოუწოდებენ სათადარიგო ნაწილებს აფიცრებსა და ჯარისკაცს, რომ დაუყოვნებლივ შეავსონ ამ პოლკის დანაკლისი. იგი უკვე მე-15-ე დღეა რაც სამშობლოსათვის უმაგალითო ბრძოლებში სისხლსა ღვრის.

შეღავათი პოლონელ ტყვეებს

**პეტროგრადი.** მკათვის 7. პოლონეთის საქმეთა სალიკვიდაციო კომისიამ პოლონელ ტყვეთა შესახებ შეღავათიანი წესები შეიმუშავა. ეს წესები სამხედრო სამინისტრომ უკვე დამტკიცა.

გემის დაღუპვა.

**კოპენჰაგენი.** მკათათვის 7. დანელთა დატვირთული გემი, რომელიც ინგლისიდან დანიაში მიდიოდა ჩრდილოეთის ზღვაში ჩაიძირა. მგზავრები გადარჩნენ.

რიგის ასპარეზი.

**რიგა.** მკათათვის 8. მკათათვის 6 და 7-ს გენგილის რაიონში გერმანელ მზვერავთა ორი ჯგუფი შეეცადა ჩვენს თხრილებთან მოახლოვებას მ. და ბ.-ს რაიონებში გუშინ საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. გერმანელები მძიმე არტილერიას ამოქმედებდნენ.

კერენსკის ბრძანება.

**კიევი.** მკათათვის 7. ჯარის უფროსებმა კერენსკისაგან მიიღეს დეპეშა. „მოგმართავთ წინადადებით დაიცვათ წეს-რიგი გახსოვდეთ, რომ ლაშქარი შეტევისთვის მიდის. მან უნდა სისხლით შეჰლებოს თავისი თავისუფლება. ზურგთ უკან მყოფი ძალა, ვალდებულია დაიცვას ლაშქარი მტრის აგენტებისგან. მოიშველიეთ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ყოველ შემთხვევაში თვითვე მოაწესრიგეთ ხოლმე გარემოების მიხედვით და ნუ მოელით ჩემგან ჩვენებას.

## რუსეთის ფრონტის გარღვევა

მთავარ ბანაკის ცნობა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 7. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. ვილენის მიმართულებით მთელ დღის განმავლობაში საარტილერიო მოქმედება სწარმოებდა. პერნიაკი - გარბუზოვის ფრონტზე (ბროდის სამხრეთით 30 ვერსზე) მტერმა დიდი ხნის საარტილერიო სამზადისის შემდეგ რამდენჯერმე შემოგვიტია. პირველად ყველგან ვიგერიებდით. 10 საათზე, ბატკუვ-განაიუკის უბანში მლინოვის 607-ე პოლკმა თავის ნებით თხრილები დასტოვა. ამას მეზობლების დახევა მოჰყვა, და მტერსაც ეს უნდოდა, გამარჯვება მას დარჩა. ჩვენი მარცხი ყველაზე მომეტებულად იმით აიხსნება, რომ ჯარის ზოგიერთა [illegible]ლებმა ბრძანებას ყური არ ათხოვ[illegible]ლაგ-ალაგ მიტინგებს ჰმართავენ [illegible]იმაზე მსჯელობენ უნდა ავასრულოთ ბრძანებები თუ არა. რამდენიმე პოლკმა ბრძანებებზე უარი განაცხადეს. ბევრი ასპარეზს სრულიად უმიზეზოდ სტოვებდა. უფროსებისა და კომიტეტების ყოველივე ღონისძიება უნაყოფოდ რჩებოდა. ბრზეჟანის აღმოსავლეთით მდებარე შიბალინის სამხრეთით გერმანელ-ავსტრიელებმა გამეორებულ იერიშებით ჩვენი პირველ წყების თხრილები დაიჭირეს. ჩვენებმა გალიჩის დასავლეთით მდებარე სოფ. ბლუდნიკი დასტოვეს. მტერმა ამით ისარგებლა და ეს სოფელი თვითონ დაიჭირა. ჩვენ იმ სოფლის დაბრუნების ცდამ უნაყოფოდ ჩაგვიარა. დამატებითი ცნობების მიხედვით, მკათათვის 4-ს 19 საათზე მტერმა კალუშის სამხრეთით მდებარე ს. ნოვიცი დაიჭირა და ერთმა ჩვენმა პოლკმა უკან დახევა იწყო. ამ კრიტიკული მომენტის დროს გენერალ-მაიორმა თავად გაგარინმა შტაბის კაპიტან ბურიგინის წინამძღოლობით იუხნოვსკის პოლკის ერთი ბატალიონი წასწია წინ. ბურიგინმა ენერგიული შეტევა დაიწყო. მალე აღარც გაგარინმა აცალა, და შეტევა დაიწყო. მას მარცხნივ დაღესტნელების პოლკი მიჰყვებოდა და მარჯვნივ კი ჩერქეზ-ყაბარდოელები. მალე მდგომარეობა მთლად შეიცვალა. თავზარდაცემული მტერი ილტოდა. შეტევის გამარჯვებას უმნის არტილერიაც ხელს უწყობდა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 8. დასავლეთის ფრონტი. დვინსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერი არტილერიას ამოქმედებს. ზოლოჩევის მიმართულებით მტერი მკათათვის 7 შეტევას განაგრძობდა. საერთოდ ტარნოპოლის მიმართულებით ჯარი მეტად უგულოდ ეპყრობოდა საქმეს, ალაგ-ალაგ ბრძანებას ყურს არ უგდებდნენ და უკან იწევდნენ. საღამოთი რენუვ-გლოდკი-პოკროპივ-ვიბუდუვის ასპარეზზედ და შეჩერდნენ. ვიმკი პორტუტორის ფრონტზე მტერი ჩვენს თხრილებს ხან გამოშვებით არტილერიის ცეცხლში ახვევდა. მდინარე ლომნიცაზე სოფ. ნოვიცის რაიონში მტერმა მრავალჯერ სცადა შემოტევა, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვიგერიებდით, მხოლოდ ამ სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით კი მტერმა ერთი სიმაღლე დაიჭირა. დანარჩენ ფრონტზე სროლა და მზვერავთა ძებნაა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 9. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. დვინსკის სამხრეთ-დასავლეთით, ვილენისა და ბარანოვიჩის მიმართულებით, საარტილერიო ბრძოლაა. ტარნოპოლის დასავლეთით მტერი ფართე შემოტევას განაგრძობს. ჩვენი ჯარი მდ. სერეტის გაღმა უფროსებს არ ემორჩილება. იგი თავის ნებით უკან იხევს. ალაგ ალაგ ტყვეებათაც უცვივიან. წინააღმდეგობას მხოლოდ მე-115-ე ქვეითთა დივიზია უწევს. დოლჟანკისა და დომომარიჩის მიმართულებით ჯავშნიანი ავტომობილები გერმანელების ცხენოსნებს უშენდნენ ტყვიას. მკათათვის 8-ს საღამოთი ჩვენები მდ. სერეტზედ და ზალოჟცე-ტარნოპოლ-მიშკოვცეს ფრონტზე შეჩერდნენ. სოფელი ზაგორბელი მტრის ხელშია. ჩვენების დახევა ბოლშევიკების პროპაგანდის გავლენით ხდება. ალაგ ალაგ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ძალები ყოველმხრივ აღემატებიან მტრისას, ჯარი მაინც დახევას განაგრძობს. მტერმა მდ. ლომნიცაზე ჩვენებს ს. ბაბინი დაპცლევინა. ჩვენები მდინარის მარჯვენა მხარეზე გადმოვიდნენ. დანარჩენ ფრონტზე—სროლაა.

## ბრძანება ლაშქარსა და ფლოტს

**პეტროგრადი.** რევოლუციის პირველ დღეებიდანვე კრონშტადტის ზოგიერთ გემებს გერმანელების აგენტ-პროვოკატორები აედევნენ. მათი გავლენით გემებზედაც გამოჩნდნენ ისეთი პირნი, ვინც თავიანთ მოქმედებით რევოლუციასა და სამშობლოს კეთილდღეობას ხიფათს უმზადებდნენ. იმ დროს, როდესაც ჩვენი ძლევამოსილი ლაშქარი რაინდული თავგანწირვით ეკვეთა მტერს, როდესაც დემოკრატიის ერთგული ფლოტი დაუყოვნებლივ ასრულებდა თავის მძიმე მოვალეობას —„რესპუბლიკისა" და „პეტრეპავლოვსკის" თაოსნობით ზოგიერთ ხომალდებმა თავიანთ ვერაგულ მოქმედებით თავიანთვე ამხანაგებს ცემდნენ ზურგში მახვილს. მათ სწორედ მაშინ გამოიტანეს შეტევის წინააღმდეგ რეზოლუცია. სწორედ მაშინ გაახშირეს დროებით მთავრობის მორჩილების წინააღმდეგ მოწოდებები და მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ნების გალიზიანებას შეეცადნენ. თვით შეტევის დროს პეტროგრადში ისეთი უწესოება დაიწყო, რომ დღითი დღე დიდს საფრთხეს უმზადებდა რევოლუციას. როდესაც მუშ., ჯარ. და გლეხ. საბჭ. აღმ. კომიტეტების თანხმობით, დროებითმა მთავრობამ პეტროგრადში კრონშტანდტელების ვერაგულ უწესოებათა მოსასპობად ფლოტის ხომალდები გამოიწვია,—ხალხისა და რევოლუციის ვერაგ მტრები, მოქმედობდნენ რა ბალტიის ფლოტის ცენტრალ კომიტეტის საშუალებით შემადგენლობაში არეულობა შეიტანეს. ვერაგ მოღალატეებმა ნება არ მისცეს რევოლუციის ერთგულ ხომალდებს, რომ მტრების მიერ პეტროგრადში მომხდარი უწესოება ჩაექროთ. პირიქით მათ ხომალდების შემადგენლობა თვითნებით მოქმედებებზე წააქეზეს. ამას მოჰყვა მთავარ კომისარ სპინკოს გადაყენება, სამხედრო მინისტრის თანაშემწე პირველ რანგის კაპიტან დუდარევის დატყვევების შესახებ დადგენილება და ის მთელი რიგი მოთხოვნილებათა, რომელიც სრულიად რუსეთის ჯარ. და გლეხ. დეპუტ. კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგინეს. მათმა ვერაგულმა მოქმედებამ აიძულა დროებითი მთავრობა, რომ მას ამ მიუტევებელ ღალატის მომწყობთა ბელადების შესაპყრობლად განკარგულება მოეხდინა. ამასთან დროებითმა მთავრობამ დაადგინა შეეპყრათ პეტროგრადს მოსული ბალტიის ფლოტის დელეგაცია, ვინაიდან იგი მოღალატეთა მოქმედების მეთვალყურედ იყო გამოგზავნილი.

ზემოგამოთქმულის გამო ვბრძანებ: ბალტიის ფლოტის ცენტრალ კომიტეტის დაუყოვნებლივ დათხოვნას და მის ახლად ამორჩევას. განეცხადოს მთლად ბალტიის ფლოტს, რომ თანახმად ჩემის ბრძანებისა ის საეჭვო პირები, ვინც შეტევის წინააღმდეგ მოუწოდებდა საქმის გამოსაძიებლად და გასასამართლებლად დაუყოვნებლივ გადასცეს პეტროგრადს. ვუბრძანებ საზღვაო ჯარის იმ ჯგუფებს, ვის სახელსაც კონტრ-რევოლუციონურ მოქმედებამ ჩირქი მოსცხო, 24 საათის განმავლობაში შეიპყრონ მათი მემბოხენი და პეტროგრადს გადასცენ გასასამართლებლად და ამასთან სრული მორჩილება განუცხადონ დროებით მთავრობას. უცხადებ ბალტიის ფლოტს, რომ ის, ვინც ამ ჩემს ბრძანებას არ შეასრულებს, რევოლუციისა და სამშობლოს მოღალატედ გამოცხადდება და მის წინააღმდეგ უკანასკნელ ზომებს მივიღებთ. ამხანაგებო! სამშობლო მოღალატეებმა უფსკრულს მიაყენეს. მის თავისუფლებასა და რევოლუციას სასიკვდილო საფრთხე მოელის. ჩვენ ფრონტზე გერმანელთა ლაშქარმა უკვე შეტევა დაიწყო. ყოველ საათს უფრო მტრის ფლოტის დიდ მოქმედებას უნდა ველოდეთ. მტერი ჩვენს დროებით დარღვევით ისარგებლებს. მიმართეთ უკანასკნელ ზომებს დარღვევის საძირკვლის აღმოსაფხვრელად. ჯარს ფლოტი მუდამ ფეხ და ფეხ უნდა მისდევდეს.

სამშობლო!, რევოლუციის და თავისუფლების სახელით მოგიწოდებთ: შემოკრბით დროებით მთავრობისა და დემოკრატიის ორგანოთა გარშემო, რათა გარეშე მტერთან ბრძოლის დროს, ზურგიც დავიცვათ მოღალატეთაგან.

ეს ბრძანება სწრაფად განეცხადოს ფლოტის ყველა ნაწილს.

სამხედრო და საზღვაო
მინისტრი კერენსკი.

## რაიხსტაგი ზავის შესახებ

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 7. ვოლფის სააგენტო იუწყება: კანცლერის სიტყვის შემდეგ ცენტრის, სახალხო პროგრესის პარტიის და სოციალ-დემოკრატების სახელით ფერენბახმა ომის მიზნის შესახებ შემდეგი რეზოლუცია წამოაყენა: დაე, ბოროტ ხმებმა ჩვენს განცხადებაში ჩვენი სისუსტის ნიშნები აღნიშნონ, მაგრამ ჩვენ დავუმტკიცებთ, რომ გამარჯვების მოპოვება შეგვიძლიან. ომის მეოთხე წლის პირველ დღეებშივე შემდეგმა საკითხმა წამოყო თავი: გასტანს თუ არა ომი ამ წელსაც? სამხედრო მდგომარეობა გვაიძულებს ზავზე თანხმობა განვაცხადოთ. ხალხის წმინდა ნებისყოფაც ზავს მოითხოვს. თუ ჩვენსკენ გამოწვდილ ხელს ჩვენი ხელიც არ შეეგება, მაშინ დავამტკიცებთ, რომ გერმანეთი უძლეველი არ არის. იმპერატორმა თავის შინაგანი პოლიტიკა ხალხის სურვილებს შეუკავშირა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ პრუსიაში საარჩევნო უფლების საკითხი მალე უბრძოლველად გადაწყდება და ახალი კანცლერი ყოველ ღონისძიებას იხმარს ყველა ერების შესარიგებლად. შეიდემანმა განაცხადა, რომ მისი პარტია იმპერიის [illegible], თუმცა უთანხმოება [illegible] შორის პრინციპიალურია. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ომისა, რადგან იგი გერმანეთისთვის საზარალოა და არა სასარგებლო. როგორც ჩვენ, ისე მტერი, მშვიდობას ომით ვერ მოიპოვებს. უკვე სამი წელიწადია, რაც ჩვენ მტრის წინააღმდეგ ვიბრძვით (თუმცა მათ პოზიციებზე კი), მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ დავამარცხეთ. ჩვენ სხვების მიწა-წყლის დასაჭერად არ ვიბრძვით, ჩვენ სწორი, საერთაშორისო უფლებით უზრუნველყოფილი, ზავი გვსურს. თუ მტერი ასეთ ზავზე უარს განაცხადებს, მაშინ კი ბრძოლას განვაგრძელებთ. საარჩევნო უფლების შეცვლის კანონპროექტი პრუსიაში შემოდგომას უნდა იქმნას შემოღებული. კანცლერმა ბიუროკრატიზმის სამკლასიან არჩევნების სისტემისაგან უნდა გაგვანთავისუფლოს. დასასრულ ორატორი საგაზეთო ცენზურის გაუქმებას და პოლიტიკურთა(?) განთავისუფლებას მოითხოვდა. გრაფმა ვერსტალმა იმედი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ კანცლერი ხალხის ძალას გააერთიანებს. მან განაცხადა: ის განცხადება, რომ ჩვენ საზავოდ მზად ვართ, ჩვენ სინანულს უნდა გვგვრიდეს, ვინაიდან ჩვენ რომ გერმანეთის მომავალს ვსწყვეტთ, ამასთან უპატიოსნოდ ვეპყრობით მათ, ვინც გერმანეთის მომავლისათვის სისხლი ღვარა. ზავის საკითხი რევოლუციით არ გადაწყდება. იგი სხვა გზით უნდა გადაწყდეს. აღმოსავლეთ პრუსიას რუსეთის შემოტევისა არ უნდა ეშინოდეს. ნაციონალ-ლიბერალმა შენაიხ-კაროლატმა განაცხადა: ჩვენ სრულიად უარვყოფთ წამოყენებულ რეზოლუციას და 1914 წ. მარიამობისთვის 4-ს ტახტიდან წარმოთქმულ სიტყვას ვუერთდებით. ვარტუმმა განაცხადა, რომ მისი ფრაქცია რეზოლუციას უარჰყოფს, რადგან მას შეუძლიან გერმანეთი შეცდომაში შეიყვანოს. ჰააზე ხალხის თვითგამორკვევის ნიადაგზე დამყარებულ ზავსა და სოციალისტურ რესპუბლიკას მოითხოვდა. დასასრულ პირველ წაკითხვაზე სამხედრო სესხის კანონპროექტს, გარდა დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებისა, ყველამ მისცა ხმა. ზავის რეზოლუცია მიიღო 214 მომხრემ, 116 წინააღმდეგი.

## პეტროგრადის ამბები

სამხედრო მინისტრის შენობა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 7. დანამდვილებით გამოირკვა, რომ პეტროგრადში მომხდარი არეულობა მოეწყო გერმანიის აგენტების მონაწილეობით და დახმარებით. დღეს ეს არეულობა აღარ არის და ყველა ხელმძღვანელი და მონაწილე ამ არეულობისა დატუსაღებული იქნებიან. დავატუსაღებთ აგრეთვე ფლოტის და სამხედრო იმ პირებს, რომელთაც დაარღვიეს თავისი მოქალაქობრივი და სამხედრო მოვალეობანი. მოუწოდებთ ყველას, დემოკრატიის ღვიძლ შვილებს შემოკრბენ დროებით მთავრობისა და დემოკრატიული ორგანოების გარშემო რათა დავიხსნათ სამშობლო და რევოლუცია გარეშე მტრისა მის შინაურ მოკავშირეთაგან.

კერენსკი.

სასჯელი მეამბოხეებთ

**პეტროგრადი.** მკათათვის 7. დროებით მთავრობამ დაადგინა: 1) ის დამნაშავენი, რომელნიც ან სახალხოდ ხოცვა-ჟლეტისკენ მოუწოდებდნენ, ან ცარცვა-გლეჯაში, პოგრომებში და სხვა დანაშაულებაში იღებდნენ მონაწილეობას—დაისაჯნენ 3 წლით გამასწორებელ სახლში. ანდა ციხეში. 2) ისინი, ვინც სახალხოთ მთავრობის კანონიერო განკარგულების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ—ისჯებიან 3 წლით ციხით ან სატუსაღოთი. 3) ის დამნაშავენი, ვინც აფიცრებსა და ჯარის კაცებს ბრძოლის არსებულ კანონების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ—დაისჯებიან—როგორც სახელმწიფო მოღალატენი.

ეს დადგენილება ძალაში შედის დეპეშის გამოცხადებით.

მეციხოვნენი მუშ. ჯ.-კ. და გლ. კომიტეტებს მორჩილებას უცხადებენ.

**პეტროგრადი.** მკათათვის 7 პეტროგრადის მეციხოვნეთა დელეგატების საერთო სხდომაზე შემდეგი რეზოლუცია გამოიტანეს: ღრმად ვგრძნობთ რა ჩვენს მოვალეობას მუდამ დარაჯად ვიდგებით სამშობლოს და რუსეთის რევოლუციას. სრულ ნდობას ვუცხადებთ მუშ., ჯ.-კ. და გლეხთა დეპუტ. ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტს. დაუყოვნებლივ ავასრულებთ ყოველივე მის ბრძანებას. ჩვენ მტკიცედ გადავსწყვიტეთ აგრეთვე ზემოხსენებულ საბჭოთ მოქმედების სრული თავისუფლება მოვუპოვოთ, იმ ღრმა რწმენით, რომ მათშია ხსნა რუსეთის დემოკრატიისა.

ბოლშევიკებისა და ჯ.-კ. ბრძოლა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 7. თავრიდის სასახლეში ბოლშევიკების და ჯარისკაცთა შორის მომხდარ ექსცესების ცნობები მოდის. ბოლშევიკების წარმომადგენლები ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტს შუამდგომლობას სთხოვენ.

მენაღმოსნე გემთა განწყობილება

**პეტროგრადი.** მკათათვის 8. გუშინ საზღვაო სამინისტროს მმართველმა ლებედევმა ინახულა ჰელსინგფორსიდან მოსული ნაღმოსნები: „ორთეოს", „გრემიაშჩი" და „მოლოდეცკი". მინისტრმა მათ რევოლუციისა და სამშობლოს სამსახურისათვის მადლობა გადაუხადა. მდგომარეობის გამო მინისტრმა უთხრა, რომ როდესაც საქმე ყოფნა არყოფნაზე მიდგება ხოლმე მაშინ ყოველ რევოლუციონერ ერის ნებისყოფას უნდა ემორჩილებოდეს: დემოკრატია ან თავის ნებას დაუმორჩილებს მეამბოხე უმცირესობას, ანდა მთლად წაშლის მათ სახსენებელს. დასასრულ მინისტრმა იმედი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ბალტიის ფლოტი შეიგნებს სამშობლოს მწუხარებას და მის კეთილდღეობას შეალევს. მენაღმოსნენი ლებედევის სატყვას აღფრთოვანებით შეეგებნენ და რევოლუციასა და სამშობლოს შველა აღუთქვეს.

ლვოვის გადადგომა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 8. თავ. ლვოვმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მართვა-გამგეობა მინისტრის ამხანაგს შჩეპკოვს გადასცა.

გლეხთა ცენტრალი კომიტეტი პეტროგრადის ამბების გამო.

**პეტროგრადი.** მკათათვის 8 გლეხთა დეპუტატების ცენტრალ-აღმასრულებელ კომიტეტის კარ-დაკეტილ სხდომაზე მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების მიერ წარდგენილი რეზოლუცია მიიღეს: რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ვინაიდან მკათათვის 3—5 მომხდარი ამბებში ბოლშევიკურ ელემენტებთან ერ-

თათ ბნელი ძალებით მონაწილეობდნენ და სამშობლოს კონტრ-რევოლიუცია ემუქრებოდა—დროებითმა მთავრობამ სრულიად რუსეთის მუშ., ჯ.-ქ. და გლეხების დეპუტ. აღმას. კომიტეტის თანხმობით რევოლიუციონურ წესრიგის დასამყარებლად ააფრიალა დროშა. რადგან დროებითმა მთავრობამ რევოლიუციონური წესრიგი, ყველა ცენტრალ კომიტეტებისა და რევოლიუციონურ დემოკრატიის ორგანოებთან შეთანხმებით უნდა განამტკიცოს, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ მან უკიდურეს ზომებს წესრიგის აღდგენის დროს. მხოლოდ კერძო პირების დასასჯელად უნდა მიმართოს და არა მთელ პარტიებისა თუ პოლიტიკურ მიმდინარეობათა საწინააღმდეგოდ. მხოლოდ ასეთ გზით შეიძლება კონტრ-რევოლიუციონურ ცდისა და ამბოხებების ჩაქრობა.

**კერენსკის განცხადება.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 7. ოფიციალი სწრაფი. სამხედრო მინისტრის რადიოტელეგრამა. ახლა უკვე აშკარა გახდა, რომ პეტროგრადის არეულობა გერმანელ აგენტებმა მოაწყეს. დღეს არეულობას ბოლო მოეღო. შევიპყრეთ დამნაშავენი. დავაპატიმრეთ ის მეზღვაურნიც, რომელნიც ფლოტზედ ხელს უწყობდნენ ამბოხების ცეცხლის ანთებას. მოვუწოდებ დემოკრატიის ნამდვილ შვილებს, გაერთიანდნენ დროებით მთავრობის და სრულიად რუსეთის დეპუტატთა ორგანოების გარშემო სამშობლოსა და რევოლიუციის სახსნელად. **კერენსკი.**

**მოსკოვის კომისრის გადადგომა.**

**მოსკოვი.** მკათათვის 8. დროებით მთავრობის კომისარმა მოსკოვში—კიშკინმა გარეშე საქმეთა მინისტრს შუამდგომლობით მიმართა გადადგომის შესახებ.

**ქ. პერმში.**

**პერმი.** მკათათვის 8. პეტროგრადში მომხდარ ამბების გამო პერმში აკრძალულია დემონსტრაციები, მიტინგები, ქალაქში სრული სიწყნარეა. ჯარი და მცხოვრებნი წეს-რიგს იცავენ.

**ლენინის დაპატიმრება.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 9. მიღებულ ცნობათა თანახმად ლენინი დაპატიმრებულ მთავრობას: ტროიცკიმ თხოვნით მიმართა დაპატიმრეთ.

**სროლა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 8. თავრიდის სასახლეში მოსულის ცნობით, დილით, ვასილიევის კუნძულზედ ბირჟის მხრით თოფის და ტყვიისმფრქვეველთა სროლა ატყდა. მოსულმა ჯარმა ალყა შემოარტყა შენობას და შიგ 30 კაცი იპოვა,—ტყვიისმფრქვეველებით. ყველანი დაიჭირეს.

**გაზეთების აკრძალვა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 9. კერენსკის განკარგულებით „პრავდა", „სოლდ. პრავდა" და „ოკოპნ. პრავდა"-ს—თხრილებში გავრცელება აკრძალულია.

**მინისტრების გადადგომა**

**პეტროგრადი.** მკათათვის 8. დროებით მთავრობამ დაადგინა—მინისტრები: ფინანსთა—შინგარევი, საგზაო—ნეკრასოვი, სახალხო განათლების—მანუილოვი, თანახმად თავიანთ შუამდგომლობისა მკათათვის 4-დან თანამდებობიდან გაანთავისუფლოს. იუსტიციის მინისტრი პერევერზევი მკათათვის 6-დან განთავისუფლდება.

## დეპეშა პეტროგრადიდან ა. ი. ჩხენკელს

კვირას, მკათათვის 9, აკაკი ჩხენკელმა პირდაპირი მავთულით პეტროგრადიდან მიიღო შემდეგი დეპეშა რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალურ კომიტეტისაგან: დღეს პეტროგრადში სრული სიწყნარეა, ქარხნები მუშაობენ, ქუჩებში ჩვეულებრივი მოძრაობაა. ცენტრალი აღმასრულებელი კომიტეტი მუშათა და ჯ. ქ. დეპუტატების საბჭოებისა განაგრძობენ რევოლიუციონური წესრიგის აღდგენა-გამაგრებაზე ბჭობას და ზომების მიღებას. მკათათვის 8 სხდომაზე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტების შეერთებულმა სხდომამ მიიღო ღირსშესანიშნავი დადგენილებანი, რომელნიც მოკლედ შემდეგში მდგომარეობს: დაუყოვნებლივ განხორციელდეს სრულიად რუსეთის მ. და ჯ. კ. ყრილობისაგან ნაკარნახევი ზომები, რომლებითაც უნდა სრულიად დაინგრეს ძველი წყობილების ნაშთები, დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად; დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს აგრეთვე ღონისძიებანი რათა საჩქაროდ გადაწყდეს მიწის და მუშათა საკითხი, განვითარდეს ადგილობრივი თვითმართველობა, ხალხი მომზადოს დამფუძნებელი კრებისათვის და მოწესრიგდეს ქონებრივი ცხოვრება და სასურსათო საქმე. მენშევიკების ფრაქციის წინადადებით მიღებულ იქნა შემდეგი დამატება: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურმა კომიტეტმა, მოისმინა რა მოხსენება ამხ. წერეთლისა შესახებ იმ მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა თ-დ ლვოვის გადადგომით და რა თვალსაზრისისაა დროებითი მთავრობა ამ გარემოებაზე, ანდობს ამხ. მინისტრ სოციალისტებს სხვა მინისტრების დახმარებით შეავსონ დროებითი მთავრობა და უქნან მას რეორგანიზაცია იმ სახით, როგორსაც უჩვენებს ამხ. წერეთელი.

თავ. ლვოვის გადადგომა გამოწვეულია ორ მთავარ, შეურიგებელ, საკითხით: პირველი ის, რომ რუსეთმა მიიღო ახლო მომავალში რესპუბლიკანური წესწყობილების დამყარება და მეორეც მინისტრ ჩერნოვის აგრარული პროგრამის დაუყოვნებლივი განხორციელება. თ-დი ლვოვის გადადგომით მთავრობის კრიზისი უფრო გაღრმავდა; გუშინდლიდან მინისტრებს განუწყვეტლივი სხდომები აქვთ. კოალიციონური შემადგენლობა მთავრობისა ჯერ-ჯერობით რჩება ძველი განაწყვეტლების მიხედვით. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა, როგორც ეტყობა, კერენსკის დარჩება. შინაგან საქმეთა სამინისტრო განზრახულია გადაეცეს წერეთელს, იგივე დარჩება ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრადაც. საბოლოოდ საკითხი გადასწყდება არა უგვიანეს ორშაბათისა.

ლენინს, ზინოვიევს, კამენევს და ტროცკის ბრალდებათ აჯანყების მოწყობა და გადაწყვეტილია მათი დატუსაღება. გაზეთ „რუსსკაია ვოლია" გუშინდელ ნომერში მოთავსებულია ბურცევის სტატია, რომელშიაც აღნიშნულია სია ათი კაცისა, რომელნიც ბურცევის გამოძიებით მუშაობდნენ აჯანყების მოწყობაში. ამ პირთა რიცხვში შედის, სხვათა შორის, მაქსიმ გორკიც. გამომძიებელ კომისიას, რომელმაც ეჭვი მიიტანა, რომ ლენინს დამოკიდებულება ჰქონია გერმანეთის შტაბთან და მიუღია მისგან ფული—ყველა ამის შესახებ კომისიას ჯერ, არაფერი გამოუქვეყნებია.

## დროებით მთავრობის დეკლარაცია

**პეტროგრადი.** მკათათვის 8. მოქალაქენო! დადგიდგა საზარი წუთი! გერმანელ იმპერატორის ლაშქარმა რუსეთის რევოლუციონურ ლაშქრის ასპარეზი გაარღვია. ბრმა ფანატიზმი, სისუსტე და ღალატი ჰღუპავს რუსეთს! ახლა, როდესაც სამოქმედო შემთხვევა ეძლევათ ნაძირალებს—დროებით მთავრობა დიდს პასუხისმგებლობაში ჩავარდა. მაგრამ მასვე სწამს ძალა რუსეთის დიდებულ ერისა. დროებით მთავრობას სჯერა, რომ რუსეთი თავს დააღწევს ამ საშინელს ავადმყოფობას. მის გამო დრ. მთავრობა ჰმოქმედებს ყოველივე ენერგიით და ძალთა შეკრებით.—სახელმწიფოებრივის წეს-წყობილების დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად. რუსის ჯარი იბრძოლებს იმ მიზნით, რომ არც ერთი წვეთი სისხლისა არ დაიღვრება ამაოდ და რუსეთის დემოკრატიის მიზანთა გარეშე. ამისთვის დრ. მთავრობა მარიამობისთვის განმავლობაში იწვევს მოკავშირეთა კონფერენციას, მათი გარეშე პოლიტიკის მიმართულების შესამუშავებლად. დროებითი მთავრობა ყოველივე ძალას იხმარს საქმეთა მოსაწესრიგებლად. ამისთვის იგი ეცდება დამფუძნებელ ყრილობის არჩევნები უსათუოდ ენკენისთვის 17-ს მოხდეს. რათა მოსამზადებელი ზომები დროზედ დასრულდეს. არჩევნების წესრიგის თავისუფლების უზრუნველსაყოფად სამოქალაქო და საერობო თვითმართველობის შემოღება სწორე და ფარულ კენჭის ყრის საფუძველზედ—ეს არის უპირველესი მიზანი დროებით მთავრობისა საშინაო პოლიტიკისა. იგი დიდს მნიშვნელობას აძლევს მოქალაქობრივ თანასწორობას, ადგილობრივ ძალთა ორგანიზების დაარსებას და სხ. ამისთვის იგი აუქმებს წოდებრიობას, სწორედ ისევე, როგორც მოსპო სამოქალაქო ჩინები და ორდენები—სამარ ჯილდოს გარდა. სამეურნეო ცხოვრების უზრუნველსაყოფად ეკონომიური საბჭო და ეკონომიური კომიტეტი იმუშავებენ შესაფერ კანონპროექტებს შრომის პოლიტიკაში შემუშავებულია და ამ დღეებში გამოქვეყნდება თავისუფლება კოალიციისა, შრომის ბირჟისა, შემარიგებელ კამერებისა; რვა საათის სამუშაო მუშაობის შემოღება, შრომის ყოველმხრივი დაცვა და ყოველგვარ სოციალური დაზღვევის შემოღება რაც საადგილ მამულო საკითხს შეეხება,—მთავრობა დარწმუნებულია, რომ მიწა მუშათა ხელში უნდა გადავიდეს. ამისთვის შესაფერი პროექტი მუშავდება. დრ. მთავრობის მორიგი ზომებია: ა) სრული ლიკვიდაცია ძველებურ სამიწადმომწყობო პოლიტიკისა, რომელიც ულმობლად არღვევს სოფელს. ბ) ზომები, რომელნიც უზრუნველჰყოფს დამფუძნებელ ყრილობის თავისუფლებას საადგილ-მამულო საქმეთა მოწესრიგებაში. გ) სამიწადმოქმედო დამოკიდებულებათა ინტერესების უზრუნველყოფა სახელმწიფოებრივ თავდაცვის ინტერესებში. დ) ყოველგვარ თავნებობის და მტაცებლობის აღკრძალვა მიწის საქმეში. როგორც სჩანს გასაკეთებელი საქმე ბევრია. დროებითი მთავრობა უძლური იქნება თუ არ მოგვეშველებით თქვენი ძალით, თქვენი ქონებით და სიცოცხლით. საჭიროა მეტი თავდადება და ენერგია. ჩვენი მკერდით დავიფაროთ ის მხარე რომელიც თავის მცხოვრებთათვის ალარ არის მკაცრი დედინაცვალი და აერთიანებს ყველას სრული თავისუფლების და თანასწორობის საფუძველზედ.

მკათათვის 8, 1917 წ.

## ლვოვის თანამდებობიდან გადადგომა

**პეტროგრადი.** მკათათვის 7. მინისტრ-თავმჯდომარე ლვოვმა თანამდებობიდან გასვლის შესახებ შემდეგი განაცხადა: ახლა მე იმდენი უფლება არა მაქვს დწვრილებით მოგითხროთ, თუ რამ მაიძულა თავი დამენებებინა ჩემის თანამდებობისათვის. როდესაც მორჩება მმართველობითი კრიზისი, მაშინ შეიძლება ვრცლად შევეხოთ მას, ყოველ შემთხვევაში ჩემს ხელთ არის საქმის ხელმძღვანელობა, სანამ მემკვიდრეს დამინიშნავდნენ, რომელსაც ჩემს შემდგომ ჩემს საქმეებს აწარმოებს. ეს, რასაკვირველია ერთი ანუ ორი დღის საკითხია. სარწმუნო წყაროები კი ლვოვის წასვლის შესახებ შემდეგს ამბობენ. ხალხის თავისუფლების პარტიის მინისტრთა გამოსვლამ დაარღვია ძალთა ურთი-ერთობა დროებით მთავრობაში. მყისვე წამოყენებულ იქნა საკითხი, თუ რა საფუძვლებზე უნდა მოხდეს დროებითი მთავრობის შევსება.

თავად ლვოვმა განაცხადა, რომ დარჩება მთავრობის მეთაურად, თუ იგი გარდიქმნება კოალიციის პრინციპზედ. დროებით მთავრობის მიერ წაყენებულ პროგრამის საფუძველზედ.

პროგრამის ძირითად პუნქტებად მოითხოვს მკაცრ ბრძოლას ანარქისტების და ბოლშევიკების ძალებთან, ადგილ-მამულის, ნათესობის და ქარხნების ინვენტარის მტაცებლებთან, დამფუძნებელ ყრილობისთვის სამზადისს და ძირითად საკითხების გარდაწყვეტას დამფუძნებელ ყრილობამდე. დროებით მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდა პეტროგრადელ ჯარისკაცთა ნაწილი, ამხედრებულებმა იარაღსაც მიჰმართეს. ლვოვის წინადადებით გამოწვეულ იქმნა ჯარები, როგორც პეტროგრადის გარეშემო ადგილებიდან, ისე ბრძოლის ველიდან. მინისტრთა ნაწილი შეუერთდა მთავრობის გადაწყვეტილებას. მაგრამ მინისტრი—სოციალისტები წინააღუდგნენ მთავრობის წევრთ, რომელნიც სასტიკად მოითხოვდნენ ბოლშევიკების აგიტაციის დადუმებას მათი ლიდერების დაპატიმრებას უდოკუმენტოდაც. გამოითქვა აზრიც, რომ ბოლშევიკებს სოციალ-დემოკრატიის ერთად-ერთი მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან და უნდა გაატარონ კიდეც ცხოვრებაში თავისი იდეები. საბჭოებმა განკარგულება მოახდინეს, რომლითაც იცავდნენ ბოლშევიკებს და ლენინს.

პეტროგრადში სამხედრო მინისტრის მოსვლის წინედ გადაწყვეტილ იქმნა ბოლშევიკების მოსპობა. საბჭოებმაც გადასწყვიტეს ყოველი ღონე მიიღონ მათს საწინააღმდეგოდ, გარნა იმ პირობით, რომ მთავრობასაც აღეარებინა თვისი მოქმედების პროგრამა, რომელშიაც უნდა აღნიშნულიყო: რესპუბლიკანური მართვა-გამგეობა, სახელმწიფო სათათბიროს გაუქმება და ჩერნოვის მიერ შემუშავებულ კანონპროექტის გაყვანა საადგილ-მამულო საკითხებში. თ. ლვოვმა ეს პუნქტები არ მიიღო. რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობის გამოცხადება, ლვოვის აზრით წინააღმდეგი იქნებოდა იმისა, რაც შეჰფიცეს დრ. მთავრობას, რომლის თანახმად უნდა მოეწვიათ დამფუძნებელი ყრილობა, ახალ სახელმწიფოებრივი წესწყობილების დასამყარებლად. ყოვლად შეუძლებელია აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს გაუქმებაც. რაც შეეხება აგრარულ კანონ-პროექტების განხორციელებას—ეს საერთო მტაცებლობისკენ და ანარქიისკენ წაგვიყვანს. სერიოზული უთანხმოებანი მოხდა თ. ლვოვისა და დრ. მთავრობის შორის გამოწვეულ საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტების დადგენილებით, რომლითაც მთავრობას უნდა ეხელმძღვანელა საბჭოთა გადაწყვეტილებით. მორიგება შეუძლებელი გახდა და... ლვოვმა თავი დაანება როგორც მინისტრ-თავმჯდომარეობას, ისე შინა საქმეთა მინისტრობას მინისტრ-თავმჯდომარედ მანვე დაასახელა კერენსკი, რომელსაც სამხედრო მინისტრის პორტფელიც შერჩება.

## რათ გადადგა მინისტრობიდან ლვოვი

**პეტროგრადი.** მკათათვის 8. მინისტრმა ლვოვმა თიბათვის 7-ს თარიღით შემდეგი წერილი მისწერა დროებით მთავრობას: იმ შეიარაღებულ ამბოხების ჩაქრობის შემდეგ, რომელიც პეტროგრადში უკიდურეს სოციალისტურ მიმდინარეობამ გამოიწვია, დროებით მთავრობამ შემდეგისათვის თავის სახელმძღვანელოდ მინისტრ-სოციალისტებისაგან წარდგენილი პროგრამა მიიღო. ეს პროგრამა ჩემთვის მისაღებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი იმეორებს იმ ძირითად დებულებებს, რომელთაც დროებითი მთავრობა, წინად გამოცემულ დეკლარაციებში, იზიარებდა. მოლიანად ეს პროგრამა ჩემთვის მიუღებელია, ვინაიდან პროგრამა ამ ძირითადი დებულებებს ნათლად პარტიულ ხასიათს აძლევს. ეს ნამეტნავად პროგრამის იმ ნაწილებს ემჩნევათ, რომელნიც არა ერთხელ წამოუყენებია დროებით მთავრობას და მე მუდამ მათ წინააღმდეგ ვყოფილვარ. ასეთ ძირითად დებულებებს ეკუთვნის: რუსეთში რესპუბლიკურ მართვა-გამგეობის დამყარება. ეს დამფუძნებელ კრების უმაღლეს უფლებათა უზურპაციას შეადგენს. დამფუძნებელი კრება ხომ ერის ნების ყოფის ნათელი გამომხატველია. აგრარულ პროგრამის გატარებაც დამფუძნებელ კრების საქმეა. ამ დებულებებზე რომ თანხმობა განვაცხადო მე ჩემის მოვალეობის მოღალატე გამოვალ. შემდეგ, პროგრამის მეორე ხარისხოვან პუნქტებს (სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დათხოვნა და სხვ.). თუმცა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ მაინც მასსის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხასიათი აქვს. მე მომხრე ვარ, რომ მიწა მომუშავე გლეხების ხელში გადავიდეს, მაგრამ მიწადმოქმედების მინისტრისაგან დასამტკიცებლად შეტანილი მიწის კანონები ჩემთვის არსებითად მიუღებელია. ჩემის აზრით მიწადმოქმედების სამინისტროს ცხოვრებაში ისეთი კანონები გაჰყავს, რომელნიც ხალხს უფლების შეგნებას უსპობენ. იგი არა თუ არ ებრძვის მტაცებლობით ლტოლვილებას, პირიქით თავნებობით დაპყრობას განამტკიცებენ და სანაქებოდაც მიაჩნიათ ეს დამღუპველი გზა. მე იმ კანონებში პარტიულ პროგრამის განხორციელებას ვხედავ და არა მგონია, რომ ისინი საერთო სახელმწიფო საქმეს რაიმე სარგებლობას მოუტანდნენ. მე მიწადმოქმედების სამინისტროს პროგრამა რუსეთისათვის დამღუპველად მიმაჩნია, რადგან იგი რუსეთს, როგორც მორალურად, ისე მატერიალურად აოხრებს. მე ძალიან მეშინიან, რომ მან რუსეთში კვლავ ის არ წარმოშვას, რასაც დროებითი მთავრობა პეტროგრადში ებრძოდა ამ დღეებში. დასასრულ არ შემიძლიან არ მოგაგონოთ ის, რომ მკათათვის 4 მინისტრ-სოციალისტების მონაწილეობით დროებით მთავრობამ მუშ., ჯარ. და გლეხ. დეპ. საბჭოების დადგენილება მიიღო. ამ დადგენილებით კი დროებითმა მთავრობამ ამ დეპუტატთა ყრილობების გარდაწყვეტილებით უნდა იხელმძღვანელოს. ასეთი უთანხმოება ჩემსა და დროებით მთავრობის უმრავლესობის შორის ამ უკანასკნელ დღეებში უფრო გამწვავდა. მათ ხშირად განუცხადებიათ ჩემთვის, რომ დროებით მთავრობაში შენი თავმჯდომარეობა შეუძლებელიაო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელ დღეებამდის ჩემს წმიდა მოვალეობად ვთვლიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ დროებით მთავრობის ერთსულოვნობის განმტკიცებას. ეხლა, ვინაიდან ძალიან დავშორდით მთავრობის წინაშე მდგომ ამოცანათა შეგნებაში, ვინაიდან სამშობლოს წმიდა ვალი ნებას არ მაძლევს, რომ მთავრობისაგან მიღებულ პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად ვიზრუნო, მე დროებით მთავრობის შემადგენლობას თავს ვანებებ და მინისტრთა თავმჯდომარის და შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას ვიხსნი. **თავადი ლვოვი.**

## ეროვნული საკითხი

**ბურიატების ეროვნული ყრილობა.**

**ხილენგინსკი.** მკათათვის 5. ბურიატების ეროვნულ ყრილობაზე ერთხმად დადგენილია: გაუქმდეს ბურიატების საყაზახო, გაერთიანებულ იქმნას ბურიატ-მონღოლებთან ყაზახ ბურიატებმა ომის ბოლომდის იხადონ სამხედრო ბეგარა; სასულიერო აღთქმის გამო განთავისუფლებულ იქმნენ ბეგარიდან ყაზახები ლამი და გუსინო, ლაცავში დაარსდეს სალიკვიდაციო კომიტეტი მკათათვის 5-ს. მოწვეულ იქმნება სილენგინელ ბურიატების გაერთიანებული ყრილობა.

## დეპეშები პეტროგრადიდან

**გერმანელებმა გენ. კორნილოვის ფრონტი გაარღვიეს; ამის გამო მუშ. და ჯარ. დეპ. ცენტრალ კომიტეტს დღეს, მკათათვის 10, მთელი დღე ბჭობა ჰქონდა. ბჭობამ დაადგინა, რომ ვინაიდან, ჩვენი მარცხი უმეტესად მავნე აგიტაციით აიხსნება რევოლუციონურ მთავრობის დიქტატურის შექმნაა საჭირო.**

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **თავდასხმა დეპუტატ აკაკი ჩხენკელზე.** შაბათს მკათათვის 8, საღამოს 10 საათზე დეპუტატი აკ. ჩხენკელი ავტომობილით კოჯრიდან თბილისში მოემგზავრებოდა. ქალაქიდან სამი ვერსის დაშორებით მას დაეცა სამი შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი, რომელთა შორის ორი, სამხედრო ტანისამოსში იყო. ჩხენკელის ერთი თანამგზავრი ნაფიცი ვექილი მაჰავარიანი შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ მას თავში დაჰკრეს და თავი გაუჩეხეს. აკაკი ჩხენკელს წაართვეს ფული და ძვირფასი ნივთები. ამ დროს გამოჩნდნენ მილიციონერები და ასტეხეს სროლა, სროლაში დაიჭრა ერთი მილიციონერი, ბოროტგამზრახველები მიიმალნენ. გამოძიება სწარმოებს.

◆ **სავალდებულო დადგენილებანი.** მ. და ჯ.-ქ. თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით თბილისის მილიციის უფროსმა შემდეგი სავალდებულო დადგენილებანი გამოსცა: 1) კლუბები, რესტორანები, სასადილოები, „ფინჯანი ჩაი", ყავახანები და სხვა ამისთანები ღამის პირველ საათზე უნდა დაიკეტოს. 2) კლუბებში ლოტო და სხვა აზარტი თამაშობანი აღკრძალულია. 3) ასეთივე თამაშობანი აღკრძალულია რესტორანებში, სასტუმროებში, ნომრებში და კერძო კაბინეტებში. ამაში დასახელებულ დაწესებულებათა პატრონები იქნებიან პასუხისმგებელნი. 4) ტრამვაი აღარ გაჩერდება შემდეგ ადგილებში: ა) რუსულ კლუბთან, ბ) თბილისის საკრებულოსთან გ) თბილისის კრუჟოკთან და დ) საარტისტო კლუბიდან ტრამვაის გასაჩერებელი ადგილი ქსენიევის ქუჩის კუთხეში გადავა. ეს დადგენილება ძალაში შევა მკათათვის 9-ში.

◆ **ქალაქის თვითმართველობამ** მიანდო არხიტექტორ ზურაბიშვილს შეადგინოს პავილიონების პროექტი, რომ მოეწყოს წიგნების, ჟურნალ-გაზეთების და ბროშურების გასაყიდი ადგილები, ალექსანდრეს ბაღში, ერევნის და კახეთის მოედნებზე.

◆ **გაფიცულებმა ელექტრონი ჩააქრეს.** კლუბის გაფიცულ მოსამსახურეთ მხარი დაუჭირა ელექტრონის სადგურების მოსამსახურეთა კავშირმა, რომელმაც მკათათვის 9-ს კლუბების ელექტრონის მავთულები დასჭრა და კლუბებს სინათლე მოუსპო. იმავე დღეს ვოლინის პოლკს საღამო უნდა გაემართა „ახალ კლუბსა" და სობრანიე"-ში და ამ კლუბების გადაჭრილი მავთულები ისევ გადააბმევინეს. დანარჩენ კლუბებში-კი ხალხი აღარ შესულა.

◆ **„ახალი კლუბი"-ს** წევრთა საგანგებო კრებამ მკათათვის 9-ს მსჯელობა იქონია კლუბის გაფიცულ მოსამსახურეთა შესახებ და მამასახლისთა საბჭოს, რომ უკმაყოფილო მოსამსახურეთა საქმის გამორკვევა და გადაწყვეტა მომრიგებელ კამერას მიანდეს.

◆ **ქალაქის თვითმართველობამ** გადაწყვიტა დაარსოს კომისია. რომელმაც უნდა გამოძებნოს სამუშევარი ადგილები, რომ ომის გათავების შემდეგ ჯარის კაცები უმუშევრათ არ დარჩნენ.

◆ **მიტინგი.** დღეს სახალხო სახლში მოხდება ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მიტინგი. განსახილველია პარტიული პროგრამები.

◆ **ქალაქის თავის არჩევნებისათვის.** 7 დღის განმავლობაში, სახელდობრ: მკათათვის 13-დან 19-მდე, —ამომრჩევლებმა უნდა განუცხადონ ქალაქის თავს იმ პირთა სია, რომლებსაც ხმოსნობის კანდიდატებად ასახელებენ და რომელთაც კენჭი უნდა უყაროთ. ამასთან დასახელებულ პირების კენჭის ყრაზე სურვილი უნდა ჰქონდეთ განცხადებული. ხმოსნების კანდიდატების სიას ქალაქის თავი მიიღებს ყოველ დღე მკათათვის 13-დან—19-მდე თბილისის საარჩევნო კომიტეტის ბინაზე (გოლოვინის პროს. № 21. არტისტიული საზოგადოება) 12 საათიდან-2-მდე იმ პირებმა, რომელნიც აღნიშნული იქნებიან კანდიდატთა სიებში, წინ და წინვე უნდა განაცხადონ თავიანთი თანხმობა ხმოსნად ან პირდაპირ სიაზე ხელის მოწერით, ან დეპეშით, ანდა წერილით უნდა აცნობოს თანხმობა ქალაქის თავს. ის კანდიდატები, რომელნიც თავიანთ თანხმობას არ გამოაცხადებენ ორი დღით ადრე არჩევნებამდის, ე. ი. მკათათვის 20-დე, სიებში ამოიშლებიან. ქალაქის თავი მიღებულ სიებს ნომრავს მიღების თანახმად. სიები გამოქვეყნდება მკათათვის 23. განზრახულ ხმოსანთა კანდიდატების სიაში შემდეგი ცნობები უნდა იყოს: 1) წესრიგის ნომერი, 2) საარჩევნო უბნის და სიის ნომერი, თუ კანდიდატი აღნიშნულია ქ. თბილისში ამომრჩეველთა სიებში. 3) გვარი, სახელი, მამის სახელი. 4) ჰასაკი. 5) პროფესია 6) მისამართი და 7) კანდიდატის ხელწერილი, ხმოსნობის მიღების შესახებ. კანდიდატების შესადგენი სიების ნიმუშები მიიღება: საარჩევნო კომიტეტის კანცელარიაში გოლოვინის პროსპექტი № 21.

◆ **ვოლინის პოლკის ჯ.-კაცებმა** კვირას, მკათათვის 9-ს, თბილისის საკრებულოში გამართეს დიდი მიტინგი. მიტინგს შემდეგ გაიმართა თავისუფლების სესხზე ხელის მოწერა. ხელი მოაწერეს 80,000 ათასი მანეთის სესხზე.

◆ **ცეცხლის მქრობელი რაზმი** გადავიდა თბილისის თვითმართველობის უწყებაში.

◆ **„ამირანის"-ს დამფუძნებელი კრება.** მკათათვის 9-ს ქართულ გიმნაზიის შენობაში მოხდა ქართველ მხედართა კავშირის სასპორტო კლუბის „ამირანი"-ს წევრთა კრება. ხალხი ბლომად დაესწრო. ეს იყო მეორე დამფუძნებელი და მასთან საზეიმო კრება. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს. პლ. ლეჟავამ, ჯარის კაცმა კულულაშვილმა, „შევარდენის" საზოგადოების წარმომადგენელმა ვარდანიშვილმა, ექ. ჯავახიშვილმა, ჯარის კაცმა ინჟინერმა მარგანიძემ და სხ, შემდეგ წაკითხულ იქმნა კლუბის სახელმძღვანელო ინსტრუქცია და ბოლოს დაიწყო „ამირანი"-ს წევრთა მიღება. კრება ნაშუადღევის პირველ საათზე დასრულდა. კლუბში მეცადინეობა დაიწყო გუშინ, საღამოს. მოვარჯიშენი ორას კაცამდეა.

## კავკასია

◆ **ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება კავკასიაში.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტთან დღეიდან დაიწყო სხდომები კავკასიაში ნაფიც ვექილთა სასამართლოს შემოღების შესახებ.

◆ **ქართლ-კახეთის** მონასტერთა საბჭოს თავმჯდ. არქიმ. ნაზარი, თანახმად მონასტერთა წარმომადგენლების არჩევისა, დამტკიცებულ იქნა მკათათვის 4-დან აღმოსავლეთ საქართველოს მერ.-მონ. წარმომადგენლად სრულიად საქართველოს საეკლესიო მმართველობაში.

## პროვინცია.

◆ **შიმშილობა ნუხაში.** (ზაქათალის ოლქი). ნუხიდან იტყობინებიან, რომ იქ მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან. გირვანქა პური 30—40 კ. ფასობს. ხორბალი არ იშოვნება და თუ არის ფუთი 12—14 მანეთია. სასურსათო საქმე ძალიან ანგრეულია და ძარცვა-გლეჯა ხშირდება.

◆ **საფეიქრო გამოფენა.** სოფელ ქარელში (ქართლი) კარგი ხანია არსებობს ბარბარე ბაგრატიონ—დავითიშვილის მეცადინეობით გამართული საფეიქრო სკოლა, რომელსაც ზემო ქართლის სოფლებისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს. კვირას, მკათათვის 16-ს, ბარბარეს თაოსნობით გამოიფინება ამ სკოლის მოწაფეთა ნაქსოვები: ჯეჯიმები, ხალიჩები, შალეულობა, ტილოები და ბამბეულობა. მსურველთ შეუძლიათ გამოფენილ ამა თუ იმ საქონლის იაფად შეძენა. გამოფენაზე დასასწრებლად თბილისიდანაც ბევრნი აპირებენ ჩამოსვლას.

## † თამარ ყანჩელი

კვირას, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე დაკრძალეს გვამი განსვენებულის თამარ როსების ასულის ყანჩელისა. მწირველი ბრძანდებოდა საქართველოს კათოლიკოსის მოსაყდრე ყოვლად სამღვდელო ლეონიდე. წირვასა და დაკრძალვას დიდი საზოგადოება დაესწრო. იყვნენ პრესისა და ლიტერატურის წარმომადგენელნი.

განსვენებული ჯერ სულ ახალგაზდა ქალი იყო და დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული ჩვენს საზოგადოებაში. მისი სტუმარ-მოყვარე ოჯახი ერთი იმ მცირერიცხოვან ოჯახთაგანი იყო, სადაც თავს იყრიდენ ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელნი. მასთან ერთად მოკვდა კულტურიანი ქართველი ბანოვანი, რომელიც დიდათ აფასებდა სამშობლო ხელოვნებას და რომელთანაც ეს უკანასკნელი მუდამ პოულობდა მყუდრო ბინას და ალერს. დრო და ადგილი ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით აღვნუსხოთ ყველა თვისებები მის ლამაზ სულისა, მაგრამ ეს თვისებები მის სულისა კიდევ დიდხანს ექნებათ მოსაგონებლად მის მეგობრებს და ყველას, ვინც ერთხელაც არის გასცნობია მას და ეს იქნება ის ძეგლი რომელიც აიგო აქ მისმა მოკრძალებულმა სულმა.

—.

## სოციალისტ-რევოლიუციონერების დახასიათება

„ნოვაია ჟიზნში“ დაბეჭდილია ვ. კერენცევის შემდეგი წერილი: მოსკოვის საქალაქო არჩევნებში სოციალისტ-რევოლუციონერებმა მოულოდნელად გაიმარჯვეს. ამომრჩეველთა 60 პროც. მისცა მათ ხმა. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 24 პროც. ხმების, კადეტებმა ამაზე უფრო ნაკლები. პარტიაში, რომელიც მიწისა და თავისუფლების ლოზუნგით გამოვიდა არჩევნებში, ამ გამარჯვებას სიხარული კი არ გამოუწვევია სოც.-რევოლიუც. წრეებში, არამედ ერთნაირი დაბნეულობაც კი შეიქმნა მათში. პარტიას დაეკისრა ქალაქის მეურნეობა აწარმოვოს, რომელსაც 300 მილიონიანი ბიუჯეტი აქვს, არჩეულ ხმოსნებში კი მას საქალაქისთავო კაციც არ მოეპოვება!

ვინც გაცნობილია იმის წესრიგს, თუ როგორ სდგება კანდიდატთა სიები, იმისათვის აშკარაა, რომ სიებში შეაქვთ პარტიაში ცოტად თუ ბევრად ცნობილი პირი. ამასთან, ზოგიერთი პარტიები სრულიადაც არ უწევენ ანგარიშს იმ მოვლენას—გამოსადეგია ესა თუ ის კანდიდატი ქალაქის მეურნეობის საქმეში თუ არა. სოციალისტ-რევოლუციონერების ასეთმა დიდმა გამარჯვებამ ხმოსნებად ბევრი ისეთი პირები მოგვცა, რომლებისთვისაც ქალაქის თვითმართველობაში არავითარი სამუშაო არ იქნება. მოსკოვში სოც. - რევოლუციონერები ისეთსავე უკაცობას იგრძნობენ, როგორც ამას ისინი ვ. მ. ჩერნოვის—მიწად-მოქმედების სამინისტროში, გრძნობენ. ს.-რ. პარტიულ მუშაკებში ვერ პოულობენ ისეთ პირებს, რომლებსაც ნაყოფიერათ შეეძლოთ მიწათ-მოქმედების სამინისტროში მუშაობა, ამიტომ ძველი რეჟიმის მინისტრის რიტტიხის თანამშრომლებს მიმართავენ შველისთვის განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, თუ ეს უკანასკნელნი სოციალ. რევოლ. ემბაზში მოინათლებიან. რუევსკი, რომელიც ს. რ. პარტიაში გადახტა ის ერთი მრავალთაგანია. ს. რ. ყოფნა ამ ჟამათ ერთნაირი მოდური გატაცებაა. ვინც ამჟამათ ჩერნოვისა და კერენსკის ლოზუნგებს აღიარებენ, ამით ისინი სამოხელეო კარიერისთვის გზას იკაფავენ. სოც. რევ. მიკედლება მთავრობის პარტიის რაზმში შესვლას ნიშნავს. სოც. რევოლიუციონერებისადმი სტიქიურმა მიმზიდველობამ მცხოვრებთა სხვა და სხვა ელემენტები ჩაითრია, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ არც რევოლიუციონურ მოძრაობასთან, არც სოციალიზმთან. არა თუ მოსკოვის „ობივატელთა“ მასსა მიემხრო მას, არამედ,—ეჭვს გარეშეა, რომ მათ მხარეზე გლეხთა დიდი უმრავლესობაა. პარტიის ასეთი საოცარი ზრდა იმავე დროს მის ისედაც გათხელებას იწვევს. წინანდელი პროგრამული გაფანტულობა ამჟამათ პარტიული იდეოლოგიის ქაოტიურ ხასიათს ღებულობს. ახალ პარტიის წევრებს თავიანთი გამოსვლებით ზოგიერთ ალაგას სასოწარკვეთილებაში მოჰყავთ პარტიის წევრები. ერთ-ერთ სამაზრო კომიტეტში, სმოლენის გუბერნიაში სოციალ-რევოლიუც. გაარკვია პარტიის პროგრამა და მიწის სოციალიზაციის წინააღმდეგ ილაპარაკა ერთმა სოც. რევ. ოლონეციის გუბერნ. მასწავლებელთა ყრილობას წინადადება მისცა: „ნუ მისცემთ ქალებს კრებაზე დასწრების უფლებას და ვებრძოლოთ ამ ყალბს ერსო“. მათი გაზეთი „მიწა და თავისუფლება“ აღნიშნავს: ბევრი ფორმალური წევრები არიან პარტიაშიო. ასე რომ, ეს ერთი ძლიერი პარტიათაგანი“, რომელსაც მოსალოდნელია მომავალ დამფუძნებელ კრებაში სამი მეოთხედი დეპუტატებისა ჰყავდეს- ამ პარტიაში ბევრი უფიზიონომიო, უფორმო ელემენტებია თავმოყრილი, რომლებიც მას ახალის გზით მიაქანებენ. სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია ერთნაირი „სულიერი განწყობილების“ პარტიათ გადაიქცა ისე როგორც პირველ სახელმწიფო დუმაში შრომის ჯგუფი იყო, რომელიც სხვა და სხვა ელემენტებს უყრიდა თავს. ასეა, იმ დროს, როცა ველა ქრისტიანი გახდა, ქრისტიანული მოძღვრებაც გაქრა. იმ დროს, როცა ყველა ამბობს სოც.-რევოლიუციონური ვარო ეს პარტიისა და მისი ყოფილი რევოლიუციონურ- ლოზუნგების დასასრულია. ჩვენს თვალ წინ სოც.-რევოლიუციონერთა პარტია გლეხთა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის პარტიათ იქმნება, რომელსაც, ეჭვს გარეშეა, დემოკრატიული პროგრამმა აქვს, სადაც მეტის-მეტ ოპორტიუნისტულად არკვევენ სოციალისტურ პრობლემებს.

## რა სჭირია საქართველოს ეკლესიას?

თქმულა და დაწერილა: ეკლესია პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს, ეკლესია უნდა სცდილობდეს ერის ზნეობრივს აღზრდას, მის ხელთაა სულიერი მხარე მოქალაქისა. სამღვდელოების მოვალეობაა ქრისტეანული იდეების გატარება ცხოვრებაშიო. მწყემსი უნდა უსმენდეს თვისს „ცხოვარს“, გაეგებოდეს ენა მისი, ყურს უგდებდეს მის სულის კვეთებას, ყველას ერთად და თვითეულად ცალკ-ცალკე უამებდეს წყლულსა. მწყემსი თვისს სამწყსოში ერთნაირად უნდა უყურებდეს ყველა პარტიას, რადგანაც ყველას მწყემსია, ყველა პარტია თითქმის, ეგუება ქრისტეანულ მოძღვრებას და მაში პოვებს გასამართლებელს საბუთს. მაშასადამე მღვდელი ყველა პარტიისაკენ უნდა იყოს, მაგრამ ქრისტეანობა ვერ აუგებს თუ მღვდელი თვისი ერის, სამშობლოს სიყვარულით იქნება უძლიერესად გამსჭვალული. სამშობლოსადმი სიყვარული ხომ ერთი უმაღლესი, უკეთილშობილესი მოვლენათაგანია ადამიანის ბუნებაში.

თუ გადავხედავთ დაბადებას (ბიბლიას), იქ დავინახავთ სამშობლოს სიყვარულს სარწმუნოების მოღვაწეობასთან გადახლართულს. მოსე, ისუნავინ, სამუელ, დავით, ილია, ელისე, ესაია, ერემია, დანიელ, ეზდრა, ხოროვაბელი, ნეემია, ძმანი მაკაბელნი, მარიამ, დებორა, ესთერი და იუდითი სამშობლოსათვის თავდადებულნი იყვნენ.

ეროვნულ პარტიაში ყოფნა არამც თუ წინააღმდეგია, არამედ საჭიროა თვითეული მღვდლისათვის.

იესო ქრისტე თუმცა სახარების საქადაგებლად ყველას მოევლინა, მაგრამ პირველად თვისთა თანა მოევლინა, ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაილისათა. იესო ქრისტეს ახარებდა ებრაელთა წარმატება და გულს უწყლავდა მისი ცუდი მხარეები. ერთს დროს როცა იგი მიუახლოვდა ერუსალიმს ზეთის ხილის მთიდან გადმოხედა მას და წარმოუდგა-რა სიმშვენიერე მისი, სტიროდა მისთვის და იტყოდა: ვითარმედ უკეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშვიდობად შენდა. ეს ტირილი და ასეთი მწარე სიტყვები გამოიწვია მასში იერუსალიმის და იუდეების მომავალმა მოსალოდნელმა უბედურებამ.

ახლა მოციქულებს მივხედოთ. პავლე მოციქული ერთს ადგილას სწერს: მშვიდობა, პატივი და დიდება პირველად ურიათა და მერმე წარმართთა.

სხვა ადგილას იგივე მოციქული ამბობს: უკეთუ ვინმე თვისთა და უფროსთა სახლეულთა არა მოღვაწე იყოს, არს იგი ურწმუნოსა უძვირეს (1 ტიმ. 5, 8).

ასე ცხოველი სიყვარული სამშობლოსადმი ამტკიცებს, რომ ბუნებრივად იბადება ადამიანში თვისიანისადმი პირველ ყოვლისა, სიყვარული; შეიძლება ვინმე უარს ჰყოფდეს, და ასეთი რამდენია ჩვენში ამ ჟამად, ასეთი გრძნობის გამოსახვას, განაღვივებს და გაზრდის ადამიანის გულში, მაგრამ მე ეს შეცდომათ მიმაჩნია და ვერასოდეს დავეთანხმები, რომ კაცმა წინ ვერ დაიხედოს და უკანიდან მისჩერებოდეს რასმეს და ვისმეს.

არც სხვისი მაგალითი, არც ისტორია, არცა ბუნება არ იძლევიან იმის საბუთს, რომ ადამიანს პირველ ყოვლისა თვისი სამშობლო არ უყვარდეს და მერმე ყველა. ასევე ქართველს მწყემს უნდა უყვარდეს და გამსჭვალული იყოს თვისი ერის ბედნიერების სურვილით. ასეთი სიყვარული მას არ დაუშლის სხვა ერი, თვინიერ თვისის, შეიყვაროს და უ[illegible]ლესად საბაბს მისცებს მისდამი გულ-მტკინვალობის გამოჩენისას.

ქ. გძელი.

## წერილი თელავიდან

ოთხშაბათს მკათათვის ნ სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის თელავის კომიტეტმა მოიწვია პარტიული კრება თავის ბიუროში, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. სკოლაშია. სხვათა შორის კომიტეტის თავმჯდომარემ აცნო წევრებს, რომ მას, როგორც კომიტეტის ხელმძღვანელს მოუვიდა ოფიციალური ქაღალდი დაშნაკელების ადგილობრივ ორგანიზაციისაგანა; დაშნაკელების ორგანიზაცია მოუწოდებს პარტიას შეთანხმებულ მუშაობას ქალაქის არჩევნებში. ამას დიდი კამათი და მსჯელობა არ გამოუწვევია; თითქმის ერთხმად იყო გამოცხადებული სურვილი გამოხმაურებოდნენ სომეხ სოციალისტების ეპისტოლეს და ხელი გაეწოდებინათ მათ კეთილშობილურ მომართვისათვის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება. აირჩიეს პარტიიდგან სამი კაცი, რომელნიც დაშნაკელების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავებენ საერთო პლატფორმას ამ კერძო საკითხში სოლიდარულ მუშაობისთვის. გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს და აირჩიეს „საგანგებო კომისია“. ვნახოთ რით გათავდება!

გ. ც.

## როგორ ინახება ჩვენი გმირების საფლავები?

შარშან წინ გალიციის [illegible]ფრონტზე გმირულათ მოკვდა კორნეტ[illegible] ლენკო თარხან-მოურავი. მისი გვამი თბილისში მოასვენეს და ვერის სასაფლაოზე დაასაფლავეს. ყმაწვილი კაცის შემდეგ გამწარებულ დედას მხოლოდ ეს საფლავი დარჩა, რომელსაც უვლიდა მხურვალე სიყვარულით, მორთო მშვენიერი ყვავილებითა, მაგრამ... ერთხელ მოვიდა საფლავის სანახავათა და რა ნახა?

მედავითნის გიორგი ქარუმიძის თხას შეეხრა ყვავილები. როცა დედამ გამოუცხადა თხის პატრონს თავისი სამდურავი, ბოდიშის მაგივრათ მედავითნემ შეუტია. შეურაცყოფა მიაყენა:—შიმშილით ხომ არ მოვკლამ თხასაო. მართალია, ჩვენ დროში სუყველაფერი მოხდება, მაგრამ, დავიჯერო რომ მეტის ღირსი არ არის ის განსვენებული გმირი, რომელმაც სისხლი დაღვარა ხალხის თავისუფლებისათვის?

ნუ თუ ესე უნდა დაიკარგოს ადამიანური გრძნობა ჩვენ საქრისტიანო საქართველოში, რომ საფლავებზე თხები ვაძოვოთ?!

დ. ვედრებისელი.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესადა გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ნება მოგვცეთ ვაუწყოთ ქართველ საზოგადოებას

შემდეგი:

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 28 №-ში მოთავსებულია არ. ფანცულაიას ცნობა თითქოს ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭოს ნება დაერთოს აბაშის სცენის მოყვარეთა ჯგუფისათვის კავშირის სახელით წარმოდგენები ჰმართონ აბაშის რაიონში. ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ კავშირის საბჭოს ნება არ მიუცია წარმოდგენების მართვისა არც აბაშისა და არც სხვა ამგვარ სცენის მოყვარეთა ჯგუფთათვის და აბაშის ჯგუფის მიერ მითვისება კავშირის ფირმისა უკანონო და შეუწყნარებელია.

ასეთი მოვლენა რომ აღარ განმეორდეს კავშირის საბჭომ სათანადო ზომებს მიჰმართა.

პატივისცემით კავშირის თავმჯდომარე: კონსტ. ანდრონიკაშვილი.

ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც ეს წერილი გადაბეჭდონ.


### ამიერ-კავკასიის რკ. გზის
**მატარებლების მიმოსვლა**
(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგ. | № 19, | 8,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.1[illegible] | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.88 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

ექიმი
### ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—1)

ექიმი
### მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ ლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
### მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსკ. ანტიმონის მე
### კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს
მანგლისში
საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი
### გ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი
### გ. გ. მუხაძე
იღებს სადასტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კბილისა
### ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა;
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
### გ. ი. ზარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი
### ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წლ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წლ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

### ქართველთა სამხედრო კავშირისა
მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

10—740—6 კომიტეტი ქ. ს. კ.

### წიგნის გამომცემლობა „განათლება“ ქუთაისში
ამ ჟამად იბეჭდება წიგნის გამომცემლობის „განათლების“ შემდეგი გამოცემანი:

1) ქართული გრამატიკა (ვრცელი) სილ. ხუნდაძისა.
2) ქართული გრამატიკა (მოკლე) მისივე.
3) ქართული მოკლე გრამატიკა იას. ნიკოლაიშვილისა.
4) ელემენტარული გეომეტრია, შედგ. ს. ოცხელის მიერ.
5) ალგებრაულ ამოცანათა კრებული, შედ. ს. შარაშენიძისა და ნ. სვანიძის მიერ.
6) არითმეტიკული კრებული გიმ. I კლ. } ალ. ჯაფარიძისა,
7) „ „ „ II „ } ს. დათეშიძისა
8) „ „ „ Ш „ } ალ. მგალობლიშვილისა.

**მზადდება გამოსაცემად:**

ქართული ანბანი შედგ. მასწავლებელ ქალთა ჯგუფის მიერ.

ქართული ენის სახელმძღვანელო გიმ. I და II კლ. } შედგ. ქუთ. ქართ. გიმნ. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ.
„ „ „ „ III და IV „

პირველდაწყებითი ალგებრა მე-III და IV კლ. კურსი ს. ოცხელისა.
გეოგრაფია ივანოვისა I კლ. კურსი (თარგმანი)
ქართული სიმღერები, ნოტებზე გადაღებული ნ. შარაბიძის მიერ (საშუალო გამოცემა)

მიღებულია აგრეთვე სხვა და სხვა წიგნი, რომელთა გამოცემის შესახებ ცალკე განცხადება იქნება.

მისამართი: Кутаисъ, кгигоиздательство „Ганатлеба“.

Ш წელ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის III წელ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

### „თავისუფლება“-ზე
რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი პირვ). წლიურათ ჟურნალი ღირება 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მ. თვიურად 80 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისიდორე კვიცარიძესთან. თბილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან. ჭიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, ბაქოში—სანდრო ქურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში და მოსკოვში, სტ. შალვა დ. გომართელთან. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ, Роману Спиридоновичу Панцхава.

### 1917 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

### „ნაკადულ“-ზე
**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსავლელი დავითის ქ. № 2 დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

(291—45)

### სააკადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ზელანდე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ლებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხთვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს აათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელსონი—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—31

### თეკზის ტრესტულნი
### ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 3, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ძ. [illegible]-[illegible], სამრეწველოებიდან ახალი ქვეირითის საზაფხულო, მცირე მა ილიანი, შავი „მუშტაბი“ ხიბილაბა. მიგიღეთ საუკეთესო ხალიჩის შამაღეპი მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მაუდეულის ზოლი, თარითი, ფარდა და ლოჯი, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და ხორცეულები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა საუკეთესო ნაირება. (წ.)


რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი. სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა გაბაევის შესახვევი № 4 გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“.